ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 2021 №143 (8672) ფასი: 60 თეთრი

ვარკეთილში მაჰათმა განდის ძეგლს სათვალე მოპარეს

გვ.5

„გაუგებარია, რისთვის შეჯლიგინდა ოპოზიცია პარლამენტში“



„ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, შვილებისთვის ნაყინი და ხილი ვერ უყიდია“

გიგლა ბარამიძე: „დაჯგუფებებად დაყოფილი „ქართული ოცნება“ 2 ოქტომბრამდე გაერთიანდა“



გვ.3

გვ.4

ლევან ალაფიშვილი: „ვადამდელი არჩევნების დანიშვნა კონსტიტუციით წყდება და არა პრეზიდენტის სურვილით“

„სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ ვერ გაემიჯნება“

გვ.2

„მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკა კომერციული ბანკების მოგებას ემსახურება“

ნიკა შენგელია: „კარტერული გარიგებებია და ამიტომ არის საწვავზე მაღალი ფასი“

გია ვოლსკიმ პრეზიდენტი გააკრიტიკა

„როცა ვითარებას აფასებ, უნდა იყო უფრო ზუსტი და დაბალანსებული“

გვ.2

თამარ გაბუნია — ინფიცირების 4000 შემთხვევაზე მეტი მიუთითებს იმას, რომ მეოთხე ტალღის პიკია

გვ.4



გვ.3

კულუმბეგოვი: „შემდეგ კვირებში სიკვდილიანობა კიდევ უფრო გაიზრდება“

ISSN 1987-9385

4 საქართველო ბელგიისგან საჩუქრად „ასტრაზენეკას“ 86.400 დოზას მიიღებს

5 ქეთი ჩხაიძეს ქმრის მკვლელობის საქმეში შეიძლება ბრალი დაუმძიმდეს



5 შსს-ს თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესი აქტიურად გრძელდება

6 ჯანმო: „მესამე დოზით ვაქცინაციაზე სექტემბრის ბოლომდე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს“

„მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკა კომერციული ბანკების მოგებას ემსახურება“

იაგო ნაცვლიშვილი

ნიკა შენგელია: „კარტერული გარიგებებია და ამიტომ არის საწვავზე მაღალი ფასი“

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი კიდევ ნახევარი პროცენტით გაზარდა და 10%-ზე აიყვანა, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი 11.9%-ია. ამის პარალელურად პრაქტიკულად ყოველდღე იზრდება საწვავის ფასი. ეს ყოველივე კი საქართველოს მოქალაქეებს მძიმე ტვირთად აწვება.

რას ნიშნავს ეს და რამდენად სწორი პოლიტიკა აქვს ეროვნულ ბანკს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეკონომისტი ნიკა შენგელია საუბრობს.

ნიკა შენგელია: ჩვენ ერთი წლის წინ გავაკეთეთ პროგნოზი და ვთქვით, რომ 2021 წელი ინფლაციის წელი იქნება. ჩვენ არ გამოვრიცხავდით, რომ ორნიშნა საპროცენტო განაკვეთის ნიშნული გვენახა. იმ ფულად-საკრედიტო პოლიტიკით და იმ ეკონომიკური კურსით, რომელსაც ჩვენი მთავრობა ახორციელებდა, ეს გარდაუვალი იყო.

არ შეიძლება ეკონომიკის მხოლოდ ტურიზმის სექტორზე ჩამოკიდება და უნდა მომხდარიყო სხვა დარგების განვითარებაც. კერძოდ, სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა. ეს რომ გაეკეთებინა მთავრობას, კოვიდსიტუაცია მას დიდად ვერ შეაფერხებდა. ახლა ყველაფერს კოვიდს აბრალებენ.

აზერბაიჯანში მოქმედებს 6.25%-იანი საპროცენტო განაკვეთი, უკრაინაში ეს მაჩვენებელი 7.25%-ია, რუსეთში – 6.25%, მოლდოვაში – 2.65%, თურქეთში კი – 19%. ეს არის ივლისის მონაცემები. ჩვენთან 10%-ია და რეგიონში საპროცენტო განაკვეთის მიხედვით მეორე ადგილზე ვართ.

ახლა ინფლაციის მაჩვენებელი შევადაროთ, ესეც ყველაზე მაღალი თურქეთშია – 17.53%, რუსეთში – 6.5%, აზერბაიჯანში – 4.7%, სომხეთში – 6.5%, უკრაინაში – 9.5%. ინფლაციის მიხედვითაც რეგიონში მეორე ადგილზე ვართ. დღეს რა ინფლაციაცაა, ეს კლასიკური გაგებით ინფლაცია არ არის. კლასიკურ გაგებაში ვგულისხმობ იმას, რომ ფულადი მასა უფრო მეტია, ვიდრე ქვეყანაში არსებული საქონელი და მომსახურება. ჩვენ რეალურად ეკონომიკა რაც გვაქვს, იმდენი ფულიც არ გვაქვს ეკონომიკაში. როდესაც იზრდება საპროცენტო განაკვეთი, მაშინ ხდება ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელება.

– ეკონომიკის მინისტრი სულ გვეუბნება, რომ აღდგა ეკონომიკა და ყველაფერი კალაპოტში დგება. ეს ფარსია?

– ჯართი რომ გადის, ჯართი კი არ უნდა გადიოდეს, არამედ ის ჯართი უნდა დნებოდეს და მშენებლობაზე მიდიოდეს ან იმპორტზე გადიოდეს. ასე რომ იყოს, იქნებოდა ეკონომიკის დეფიციტური ზრდა. ხალხი მშიერია და კიდევ პროცენტს ვუზრდით. ბიზნესსესხებზეც ძვირდება პროცენტი, იპოთეკურ სესხზეც შესაბამისად და სამომხმარებლო სესხზეც. ეს სწორი მიდგომაა?!

– ამ რეალობის გათვალისწინებით, საპროცენტო განაკვეთის გაზრდით, სწორად მოიქცა ეროვნული ბანკი?

– აზრი არ ჰქონდა. საპროცენტო განაკვეთის ზრდა, უბრალოდ, ბანკებს ამდიდრებს. შემოსავალი ეზრდებათ მათ.

– რეალურად გამოდის, რომ მთავრობაც და ეროვნული ბანკიც კომერციულ ბანკებზე მუშაობენ?

– ეროვნული ბანკი რომ რამდენიმე კომერციული ბანკზეა მორგებული, ცხადია. მისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ნამდვილად არ ემსახურება ქვეყნის რეალური სექტორის ეკონომიკის განვითარებას. რეალურ სექტორში ვგულისხმობ გადამამუშავებელ მრეწველობას და სხვა დარგებს.

– აბა, რას ემსახურება?

– ემსახურება კომერციულ ბანკებს და მის მოგებაზეა ორიენტირებული. სესხი აქვს დაბალი და დაბალ პროცენტში იძლევა სესხს.

– რატომ უნდა აწყობდეს ეროვნულ ბანკს ეს თუ არ აქვს რაღაც ინტერესი? კორუფციულ ინტერესამდე მივდივართ და ამაზე აკეთებთ აქცენტს?

– არა, კორუფციულ ინტერესს ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ ბანკები მდიდრდებიან. გადავხედოთ, ვისი შემოსავალი იზრდება. ყველაზე მეტად დღეს მოგებაში არის ფინანსური სექტორი.

– რატომ აძლევენ ამდენის უფლებას კომერციულ ბანკებს?

– ეს კითხვა ეროვნულ ბანკს უნდა დაუსვათ, რატომ არის, რომ გაღატაკებულ და დაქცეულ ქვეყანაში კომერციული ბანკების მოგება გაცდენილია მილიარდს, ბოლო 7 თვის მონაცემებით. ანუ რა მოგებაც ვერ ნახეს წინა თვეებში, ახლა ერთიორად ამოიღეს. ჩამოგითვალეთ რიცხვები მე, ჩვენ რეგიონში სიდიდით მეორე ადგილზე ვართ საპროცენტო განაკვეთით და ინფლაციის მაჩვენებლით.

– საწვავის ფასიც მატულობს ფაქტობრივად ყოველდღიურად. აქამდე ლარის კურსის მატებას უკავშირებდნენ. დღეს ლარი დასტაბილურდა, მაგრამ ეს ვერ აისახა საწვავზე. რატომ?

– მოსახლეობისთვის გასაგებად ავხსნი. საწვავის ფასი რეკორდულად მატულობს ბრენდულ ავტოგასამართ სადგურებზე. არაბრენდულ სადგურებზე დიზელის ფასი 2.4-ს შეადგენს, ხოლო ბრენდულზე 3 ლარამდეა. რატომ არის ამხელა 60 თეთრიანი სხვაობა?! რატომ არის, რომ სახელმწიფო უწყებები – მაგალითად, და იუსტიციის სამინისტრო ბენზინს თავიანთი მანქანებისთვის 60 თეთრით იაფად ყიდულობენ, ვიდრე მოსახლეობას აწვდიან. მით უმეტეს, ფულებს ელოდებიან 1 თვე, წაგებაზე მუშაობენ?!

ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არის კარტერული გარიგებები. იმ 7-8 კომპანიას, ვისაც საწვავი შემოაქვს, კარტერული გარიგება აქვს. იგივეა, რაც ხდება მედიკამენტების ბიზნესში. იგივე პროდუქცია, რაც რუსეთში თუ თურქეთშია, შესაძლოა იყოს საქართველოსთან შედარებით 120%-ით იაფი.

– თავის დროზე „ოცნება“ ამბობდა, რომ ბენზინიდან ლარი სააკაშვილის ჯიბეში მიდიოდა, ახლაც ასეა და თავის ჯიბეში მიდის რაღაც თანხა?

– მე ვერ გაგცემთ პასუხს, ვის ჯიბეში მიდის ლარი და ვის აძლევენ უკან „ატკატებს“. მაგაზე პასუხი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ არის კარტერული გარიგებების იმიტაცია.

– საწვავის ფასი ეკონომიკაზე ახდენს გავლენას, არის კავშირები ეკონომიკის სხვა დარგებთანაც?

– საწვავის ფასი გაზრდილია, ინფლაცია იზრდება და როდესაც ერთი პროდუქტი გადაადგილდება ერთი ლოკაციიდან მეორეზე, ამას ხომ სჭირდება ტრანსპორტირება და საჭიროა საწვავი, ეს ავტომატურად ირიბად მოქმედებს სხვა პროდუქციის ფასებზეც. ეს ყველაფერი – საწვავის გაზრდილი ფასი, გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი თუ ინფლაციის მაჩვენებელი – იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სისტემის ზოგიერთი ნაწილი არ მუშაობს. თუნდაც სააგენტო, რომელსაც ფასების დარეგულირება ევალება და მას კონკურენციის სააგენტო ჰქვია.

გია ვოლსკიმ პრეზიდენტი გააკრიტიკა

„როცა ვითარებას აფასებ, უნდა იყო უფრო ზუსტი და დაბალანსებული“

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის შეფასებით, შარლ მიშელის შეთანხმებიდან მმართველი პარტიის გასვლის თაობაზე პრეზიდენტის განცხადებას „დაბალანსება აკლდა“.

როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, „როცა ვითარებას აფასებ, უფრო ზუსტი და დაბალანსებული უნდა იყო“.

– ვფიქრობ, შეთანხმების დარღვევა, გაუქმება კარგი არ არის, მით უფრო, რომ შეთანხმების პათოსი გვკარნახობდა, პოლიტიკურ სუბიექტებს კონსენსუსის საშუალება მოეძებნათ. ამავე დროს, ვფიქრობ, რომ განცხადებას მნიშვნელოვნად აკლდა დაბალანსება, ვინაიდან შეთანხმებიდან გასვლა ერთია, ამას სერიოზული საფუძველი და წინაპირობა აქვს. მეორეა, როცა შეთანხმებას საერთოდ არ უერთდები, რაზეც ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს მეტი აქცენტი უნდა გაეკეთებინა, ვინაიდან უკვე ნათელი იყო, სიტუაცია რა მიმართულებით ვითარდებოდა. პრეზიდენტმა გააანალიზა ისე, როგორც ხედავს, გააანალიზა შედეგები. ცუდია შედეგი, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე პოლიტიკური სუბიექტები რესურსს ვერ ნახულობენ, რათა ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე საერთო პოზიციები შეიმუშაონ, მაგრამ როცა ვითარებას აფასებ, უნდა იყო უფრო ზუსტი და დაბალანსებული.

მმართველ პარტიას გარკვეული ვალდებულებები აქვს, მაგრამ რეალობაა ისიც, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ დესტაბილიზაციის სტრატეგიაზე უარი არასდროს უთქვამს. ამის არდანახვა სწორი არ არის. პრეზიდენტი ეცადა, ასე თუ ისე სიტუაცია უფრო მეტად დაბალანსებული გამოეყვანა, პრაქტიკულად არაობიექტური შეფასება მისცა იმ ნაწილს, რასაც კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხრიდან დესტრუქციული პროცესების განვითარების ინტენსიური მცდელობა ჰქვია. მან ასეთი განცხადების გაკეთება გადაწყვიტა.

საზოგადოების დიდ ნაწილს კარგად ესმის, თუ საით მიდის სტრატეგია, რომელსაც კონკრეტული პოლიტიკური პარტია მიყვება, –

განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისივე თქმით, პრეზიდენტის ვალდებულებაა, ყველა ძალისხმევა მიმართოს იქითკენ, რომ შეთანხმება ოდესმე მიღწეულ იქნას, თუმცა ეს რთული და შეუსრულებელი მისიაა, რადგან კონკრეტულ სუბიექტებს ამის არანაირი სურვილი არ გააჩნიათ.

– პრეზიდენტს მოეთხოვება ამ მიმართულებით თანმიმდევრული იყოს, – აღნიშნა ვოლსკიმ.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 3 აგვისტოს ბრიფინგზე განაცხადა, რომ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირებაზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს. სალომე ზურაბიშვილის თქმით, დოკუმენტის მიზნები ამოწურული არაა.

– ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას დოკუმენტის ცალკეულ ელემენტებზე, რომელიც იყო მხარეებს შორის შეთანხმებული, ვერც მის ანულირებაზე. თუმცა დღეს, პოსტ-ფაქტუმ იმის აღმოჩენა, თურმე ისეთი რაღაცები დავთმეთ, რაც მიუღებელი ყოფილა და რამაც შესაძლოა ქვეყანა დააზიანოს, გაუგებარია.

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე „წითელი ხაზების“ ხელმოწერამდე გავლება ვიცი, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ეს პროცესი, რომელიც დგას ამ დოკუმენტის უკან, მიზნები, რომლებსაც ეს დოკუმენტი ისახავს და პრინციპები, რომლებსაც დოკუმენტი ეფუძნება, ამოწურული არაა. წარმოადგენს იმ გზას, რომელიც ამ ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაიაროს და რომელსაც მე მხარს ვუჭერ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

თამარ გაბუნია: „დღეში 15.000-ზე მეტი ადამიანი იცრება“

– ვაქცინაციაზე მატების ტენდენცია ნამდვილადაა. ბოლო 7 დღის განმავლობაში საშუალო მაჩვენებელი 15 000-ზე ზემოთაა. 3 აგვისტოს დაახლოებით 16 900 იყო.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც გაბუნიამ აღნიშნა, ასევე მზადდება მასობრივი ვაქცინაციის ცენტრი მცხეთაში.

– ტენდენცია მატების ნამდვილადაა. ბოლო 7 დღის განმავლობაში საშუალო მაჩვენებელი 15.000-ზე ზემოთაა. აქტივობა საკმაოდ მაღალია ყველა ვაქცინაზე – „ფაიზერზე“, „სინოვაკზე“, „სინოფარმზე“, „ასტრაზენეკაზე“ ძირითადად მეორე დოზებით მიმდინარეობს ვაქცინაცია.

ასევე, დაემატება თბილისში ვაქცინები, რადგან ვინც „ფაიზერზე“ რეგისტრაციისთვის ემზადება, მათ დარეგისტრირების საშუალება ჰქონდეთ. ასევე მზადდება მასობრივი ვაქცინაციის ცენტრი მცხეთაში. ვფიქრობთ, რომ მოკლე ხანში, უკვე სოფლად ვაქცინაციის დაწყებასაც შევძლებთ.

ეს პროცესი ძალიან მალე დაიწყება, – განაცხადა გაბუნიამ.

6 თვეში „ოცნების“ დეპუტატების მივლინებები 283 ათასი დაჯდა

„ფლანგვის დეტექტორის“ ინფორმაციით, მიმდინარე წელს, მხოლოდ 6 თვეში ოცნების დეპუტატების დასავლეთ ქვეყნებში ვიზიტის ხარჯებმა 283 ათასი ლარი შეადგინა:

„სამივლინებო ხარჯებმა ჯამში 313.000 ლარი შეადგინა, რომლის 91% „ქართული ოცნების“ დეპუტატებზე დაიხარჯა.

აქედან ირაკლი კობახიძის, კახა კუჭავას და მაკა ბოჭორიშვილის მივლინებებმა ჯამში 119.606 ლარი შეადგინა.

დასავლეთში მივლინებების პარალელურად, ხელისუფლება პრორუსული ჯგუფების ძალადობას ახალისებს.

თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება დასავლეთში ოცნების დეპუტატების ვიზიტები?“ – წერს „ფლანგვის დეტექტორი“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გაუგებარია, რისთვის შეჯლიგინდა ოპოზიცია პარლამენტში“

გიგლა ბარამიძე: „დაჯგუფებებად დაყოფილი „ქართული ოცნება“ 2 ოქტომბრამდე გაერთიანდა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკოს გიგლა ბარამიძეს.

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიცია მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში სხვადასხვა რეგიონში მეორე ადგილისათვის იბრძოლებს. მათი თქმით, ამ არჩევნებზე მოხდება ნაცმოძრაობის ნელ-ნელა გასტუმრებაც. თქვენ რას იტყვით?

– მე ჩემს სიტყვებს გავიხსენებ. 2013 წლიდან ვაფრთხილებდი „ქართულ ოცნებას“ „შუას გაკრეფის“ მავნებლობაზე. ფაქტია, რომ შუას გაკრეფამ და პოლიტიკურ ველზე ორი მთავარი სუბიექტის დატოვებამ მძიმე შედეგი მოიტანა. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში“ ამას მიხვდნენ. ნაცმოძრაობის ერთი და იგივე ოდიოზური სახეების ყურება ტელეეკრანებზე ხალხს ძალიან აღიზიანებს.

– ოპოზიცია მეორე ადგილისთვის იბრძოლებს?

– ნაციონალური მოძრაობა ისე დასუსტდა, რომ ალბათ უკან გადაიწევს. ნაციონალურ მოძრაობაში ერთმანეთს ჭამენ. მიტინგს რომ ნიშნავენ, მოქალაქეების ერთ ჯგუფს ვერ კრეფენ. ნაციონალების აქციებზე მათი წევრები, მათზე ფინანსურად მიბმული პარტიული არხები და არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ხოლმე წარმოდგენილი. ის რამდენიმე მწერალი და რეჟისორი, რომელიც მათთან ჩნდება, მათზეა დამოკიდებული – ზოგს ფილმს აღებინებენ, ზოგს როლს აძლევენ. „ქართულ ოცნებას“ ბუმერანგად უბრუნდება თავისი შეცდომები და კოაბიტაცია ნაციონალურ მოძრაობასთან. ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის მეთაურობით ყოველთვის იყო ანტისახელმწიფოებრივი ძალა. ეს ხალხი თავის ბოლოდროინდელ მოქმედებებს მხოლოდ და მხოლოდ პროვოკაციებზე აგებს.

– ერთია, როცა ნაციონალურ მოძრაობას პრეტენზიებს უყენებენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები და დევნილები (თქვენ პოლიტიკური დევნილი იყავით), მეორეა, როცა ნაციონალური მოძრაობის „სისხლიანობაზე“ უკვე ცხრა წელია საუბრობს „ქართული ოცნება“. ეს „ოცნების“ მხრიდან ცინიკურად ჟღერს.

– სააკაშვილის რეჟიმის პოლიტდევნილი კი ვიყავი და ბევრიც გადავიტანე, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მიუღებლობა მარტო ამის გამო არ მაქვს. რომც არ ვყოფილიყავი პოლიტიკური დევნილი, ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილის

„ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, შვილებისთვის ნაყინი და ხილი ვერ უყიდია“

მმართველობა ჩემთვის მაინც არ იქნებოდა მოსაწონი. ჯერ ერთი, წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა უზარმაზარი დანაშაული ქვეყნის წინაშე როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიკური კუთხით. მეორეც, მან გაამწარა და იმსხვერპლა უამრავი ადამიანი. ევროინტეგრაციის მაგივრად მოხდა ნაცქოცური ინტეგრაცია. „ოცნების“ ბრალი ისაა, რომ არ დასაჯა წინა რეჟიმის კონკრეტული დამნაშავეები. ამ ხელისუფლებას არ უნდა მიექცია ყურადღება არც ერთი გარე ფაქტორისათვის, არ უნდა დაეგდო ყური არავისთვის და აღესრულებინა კანონი, დაემყარებინა სამართლიანობა. ეს რომ არ მოხდა, იმიტომაა, რომ ციყვივით ტრიალებენ და ბუმერანგად უბრუნდებათ თავიანთი შეცდომები. ნაცმოძრაობა განაგრძობს ძირგამომთხრელ საქმიანობას. საბოლოოდ, ეს აფერხებს სახელმწიფოს განვითარებას. გაუგებარია, რისთვის შეჯლიგინდა ოპოზიცია პარლამენტში! ჯერ თავზე დაიმხეს ყველაფერი, არ შევალთო. ახლა რომ შევიდნენ, რას აკეთებენ?! ხალხის ინტერესებს იცავენ და კანონმდებლობაში არიან ჩაფლული?! არა. ამის ნაცვლად, კანკანს ცეკვავენ მაგიდებზე.

– „ქართულ ოცნებას“ დაშვებული შეცდომები ამ არჩევნებზე არ მოუბრუნდება ბუმერანგად?

– არა მგონია. „ოცნებას“ ამომრჩეველი შეუმცირდა, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც გავა.

– იმიტომ, რომ ოპოზიცია ვერ დაჯაბნის?

– ეს რეალობაა. ტელევიზიის ერთმა წარმომადგენელმა ერთხელ ოპოზიციას უწოდა საცივში თავჩაყოფილი. ამაზე ოპოზიციას პასუხიც არ ჰქონდა. არავის მომხრე არა ვარ, მაგრამ ეს ოპოზიცია „ქართულ ოცნებაზე“ ბევრად უარესია. გარდა ამისა, მმართველ პარტიას აქვს თავისი ბერკეტები. სხვადასხვა სამსახურში, სამინისტროებითა და მერიებით დაწყებული, აიპებითა და საბავშვო ბაღებით დამთავრებული, დასაქმებულია დაახლოებით 300 000 კაცი. ამას მიუმატეთ მათი ოჯახები. მარტო თბილისის მერიაში უამრავი ხალხი ირიცხება. აქ იმაზე მეტი მუშაობს, ვიდრე მადრიდის, ლონდონის, ნიუ-იორკის მერიებში.

– კახა კალაძეს პიროვნული რეიტინგიც აქვს.

– როცა მერიის გაბერილ შტატს შევეხე, მხედველობაში მქონდა „ქართული ოცნების“ რესურსი. კალაძეს აქვს თავისი რეიტინგი. მაინცდამაინც გამოკითხვების (აირაი, ენდიაი და სხვა) შედეგებს არ ვგულისხმობ. ბევრს ხიბლავს ჩემპიონთა ლიგის 2-გზის გამარჯვებულის ყოფა მერად. ზოგს მიაჩნია, რომ კალაძე საქმეს აკეთებს.

– ახსენეთ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ერთმანეთს ჭამენ. „ქართულ ოცნებაშიც“ ხომ არ არის ერთსულოვნება?

– აქაც არსებობს დაჯგუფებები. ასე, სამი მიმართულება. ამ თემას ახლა არ გავავრცობ. ისინი ყველანი ახლა ერთად არიან, ერთი მიზანი აქვთ. დაჯგუფებებად დაყოფილი „ქართული ოცნება“ 2 ოქტომბრამდე გაერთიანდა. ამ ეტაპზე ასეა.

– ამ არჩევნებისთვის ხელისუფლებამაც კი წამოსწია ისეთი მტკივნეული თემა, როგორიცაა უსაშველოდ აწეული ფასები მედიკამენტებზე.

– წამლების ფასები კატასტროფულია. ჩვენ ყველანი ამას ვგრძნობთ. მონოპოლიური საქმიანობის გამო ბილ გეიტსიც დააჯარიმეს. არ შეიძლება, ასეთი გამოცდილება ჩვენთანაც გადმოიღო?! ცეცხლი უკიდია მედიკამენტებსაც, საწვავსაც. ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, შვილებისთვის ნაყინი და ხილი ვერ უყიდია. დასასვენებლად წასვლა ფუფუნება გახდა. სახელმწიფო არაფერში არ უნდა ჩაერიოსო, ამის თქმა სისულელეა. სახელმწიფომ ისიც უნდა დაარეგულიროს, რომ ხილის მოსავალი ქორვაჭრებს არ უვარდებოდეთ ხელში. ყველაზე მძიმე კი იცით რა არის? სოციალური განსხვავების კიდევ უფრო ზრდა.

– საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა სოციალური კონტრასტებით და საშუალო ფენის სიმცირით.

– საქართველოში არსებობს „ტოიოტას“ ცენტრი. უკვე შემოყვანილია „ტოიოტა ლენკრუიზერ 300“-ის მოდელის უახლესი ავტომობილები, რომლის ფასი მინიმუმ 80.000 დოლარია. სანამ შემოიყვანდნენ, ცენტრს კლიენტები აკითხავდნენ. ახლა შემოყვანილია და რიგები დადგა. ამავდროულად, დანარჩენი საქართველო ნახევრად მშიერია. ბოლო ორი წლის განმავლობაში 10-ამდე ძვირი იახტაც გაიყიდა. პირობითად – როცა ტყავს მაძრობ, როცა 1 ლარიან წამალს 100 ლარად ყიდი და არ გვრცხვენია, არც იმის მოგერიდება, რომ ფუფუნების საგნები იყიდო. მდიდარი მეცენატი ადამიანები უნდა იყვნენ. ისინი სახელმწიფოს აძლიერებენ. ასეთ ადამიანებს ხელშეწყობა სჭირდებათ. მე იმაზე ვამახვილებ ყურადღებას, რომ ვიღაც ხალხის გაღლეტით მდიდრდება, ხალხი კი მშიერია. საქართველოში მედიკამენტები სულ ძვირი იყო. მაინტერესებს, სად იყო ადრე ხელისუფლება?! ვინც ამას აკეთებს, იმ „ბარიგებს“ ჯარიმაც უნდა დაადო და ციხეშიც ჩააყუდო. ეს არის დიდი დანაშაული.

ოპოზიციას თვითონ რომ სჭირდება, ისეთ რამეზე ვიშვიშებს. მიშელის დოკუმენტს ამოეფარა და პარლამენტში შევიდა. რისთვის არის ოპოზიცია პარლამენტში? ამ ოპოზიციონერებს ხელფასებს ჩვენ ვუხდით. ერთხელ ფასების საკითხი არ უნდა წამოეწიათ?! მთავრობასაც აქამდე უნდა გახსენებოდა კონკურენციის სამსახური და სააფთიაქო მავნებლობა.

ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 10.0%-მდე გაზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.0 პროცენტით განისაზღვრა, – ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი აქვეყნებს.

საქართველოში ივლისის წლიურმა ინფლაციამ მოულოდნელად მაღალი, 11.9 პროცენტი, შეადგინა.

„ბოლო პერიოდში ინფლაცია გლობალური გამოწვევაა და ივლისის თვის ფასების ზრდის მონაცემმა არაერთ ქვეყანაში პროგნოზირებულს გადააჭარბა. საქართველოშიც ივლისის წლიურმა ინფლაციამ მოულოდნელად მაღალი, 11.9 პროცენტი, შეადგინა. ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის განმსაზღვრელი ფაქტორები, ძირითადად, ერთჯერადი და მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელია. მათგან მთავარი მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილი ფასებია. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მოიმატა საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯებმა, რაც, ასევე, იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე ახდენს გავლენას. ივლისის მონაცემებით იმპორტირებული პროდუქციის ფასების ზრდა წლიურად 18.4 პროცენტია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივ პროდუქციაზე ფასების ზრდას (7.2 პროცენტი). ნიშანდობლივია, რომ ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე რიგი კვების პროდუქტების ფასების გარკვეული შემცირება შეინიშნება და აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნება, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ადგილობრივ ბაზარზეც პოზიტიურად უნდა აისახოს.

ადგილობრივი ერთჯერადი ფაქტორებიდან აღსანიშნავია კომუნალური გადასახადები, რამაც წლიურ ინფლაციაში 1.7 პროცენტული პუნქტის წვლილი შეიტანა. ზემოაღნიშნულ დროებით ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შიდა მოთხოვნაც – ეკონომიკურმა ზრდამ წლის პირველ ნახევარში 12.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021 წლის ზრდის პროგნოზმა 8.5 პროცენტამდე მოიმატა. ამასთან, ფისკალური სტიმულის მაღალ დონეზე შენარჩუნების ფონზე, დაკრედიტების არსებული ტემპი სასურველზე მაღალია.

განახლებული მონაცემებით, ინფლაციის მოკლევადიანი პროგნოზი წინა პროგნოზებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია და, მოსალოდნელია, რომ ინფლაცია 2021 წელს, სხვა თანაბარ პირობებში, საშუალოდ 9 პროცენტზე მაღალი იქნება.

იმისათვის, რომ დროებითი ფაქტორების შედეგად ფასების ზრდამ ინფლაციის მოლოდინებზე გრძელვადიანად არ მოახდინოს გავლენა, ეროვნული ბანკი ხანგრძლივად შეინარჩუნებს მკაცრ პოლიტიკას ან/და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით გაამკაცრებს მას. ამგვარი პოლიტიკით და ერთჯერადი ეგზოგენური ფაქტორების მოსალოდნელი მილევის ფონზე, არსებული პროგნოზით, 2022 წელს ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და მის საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

საგარეო მოთხოვნა ზრდას განაგრძობს, თუმცა, ჯამურად – ტურიზმის გათვალისწინებით – პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, შემცირებული რჩება.

წინასწარი მონაცემებით, ივნისში საქონლის ექსპორტი 30 პროცენტით გაიზარდა და 2019 წლის ივნისის ანალოგიურ მაჩვენებელს დაახლოებით 13 პროცენტით აჭარბებს. საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი ივნისში წლიურად 11-ჯერ გაიზარდა, თუმცა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირება 64 პროცენტია. რაც შეეხება საქონლის იმპორტს, ივნისში 37 პროცენტიანი წლიური ზრდა დაფიქსირდა, რაც 2019 წლის ივნისის მაჩვენებელს დაახლოებით 13 პროცენტით აღემატება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს უწყვეტ რეჟიმში აკვირდება და ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 15 სექტემბერს ჩატარდება“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

კულუმბეგოვი: „შემდეგ კვირებში სიკვდილიანობა კიდევ უფრო გაიზრდება“

ყველა ვაქცინას შეუძლია გადაგვირჩინოს დღეში 38 ადამიანი სიკვდილისგან, რომელიც, სამწუხაროდ, შემდეგ კვირებში კიდევ უფრო გაიზრდება, – ამის შესახებ იმუნოლოგი, ვაქცინაციის საბჭოს წევრი ბიძინა კულუმბეგოვი „ფეისბუქზე“ წერს. აღსანიშნავია, რომ ბოლო 24 საათში საქართველოში კორონავირუსს 38 ადამიანი ემსხვერპლა, ჯამში კი 5948 ადამიანი.

როგორც ის კვლევებზე დაყრდნობით ამბობს, ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილისგან მყარად იცავს ყველა ვაქცინა (80-90%).

ცნობისთვის, როგორც ღეუტერს-ი წერს, ჩილეში „სინოვაკის“ ვაქცინამ 58.5%-იანი ეფექტიანობა აჩვენა სიმპტომატური დაავადების პრევენციის კუთხით. „ფაიზერმა“ – 87.7%, ხოლო „ასტრაზენეკამ“ – 68.7%. აღსანიშნავია, რომ ჩილეში მასობრივი ვაქცინაციის კამპანია ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაიწყო. დღეისთვის ქვეყანაში მოსახლეობის 60%-ზე მეტი აცრილია.

გარდა ამისა, ინგლისში კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სრულად აცრილ ადამიანებში კორონავირუსის „დელტა“ შტამით ინფიცირების რისკები 50-60%-ით შემცირდა.

95 წლის მზექალა შანიძე ფაიზერის ვაქცინით აიცრა

– კაცობრიობამ მედიცინის გზით არაერთი პანდემია დაამარცხა.

ამის შესახებ ენათმეცნიერმა და ფილოლოგმა მზექალა შანიძემ განაცხადა, რომელიც სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში „ფაიზერის“ ვაქცინით აიცრა. ამის შესახებ ინფორმაციას განათლების და მეცნიერების სამინისტროში ავრცელებს.

95 წლის აკადემიკოსი მიმართავს თითოეულ მოქალაქეს და მოუწოდებს, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში. მან აღნიშნა, რომ კაცობრიობამ მედიცინის გზით არაერთი პანდემია დაამარცხა და გამოსავალს ახლაც იმუნიზაციაში ხედავს.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს საჯარო და კერძო სკოლების, პროფესიული სასწავლებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მასობრივი ვაქცინაციის პროცესი საქართველოს მასშტაბით.

„სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ ვერ გაემიჯნება“

ლევან ალაფიშვილი: „ვადამდელი არჩევნების დანიშვნა კონსტიტუციით წყდება და არა პრეზიდენტის სურვილით“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადება რითი იყო ნაკარნახევი? რა სვლა იყო მისი მხრიდან?

– სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკაში თავისი არაორდინალურობით გამოირჩევა. ის არ არის ადვილად საპროგნოზო პოლიტიკოსი. როგორც ჩანს, მიშელის დოკუმენტი განსაკუთრებული აღმოჩნდა, რადგან ის არის ევროპისკენ მიმავალი გზის მაჩვენებელი. ეს დოკუმენტი გარდა იმისა, რომ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჩართულობით მომზადდა, ერთ-ერთი გარანტორი თავად პრეზიდენტი ზურაბიშვილი იყო. ამიტომ, როგორც ჩანს, ჩათვალა ეს დოკუმენტი, ასე მარტივად შეურაცხსაყოფი არ არის. მათ შორის პიროვნულ დონეზეც.

– პირად შეურაცხყოფად მიიღო?

– ინსტიტუციურ შეურაცხყოფად. თუმცა, როდესაც პრეზიდენტი ხარ, რთულია უკვე ზღვრის გავლებაც. ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში ორივე ერთად იყო. ეს აშკარად ჩანდა. ასევე იყო დაბალანსების მცდელობაც, რაც აბსოლუტურად გასაგებია. ის ცდილობს პარტიული პოლიტიკის მიღმა დაგვანახოს თავი. კარგი იქნებოდა, სხვა შემთხვევებშიც ანალოგიურად მოქცეულიყო. ეს საქართველოში ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარებას წაადგებოდა.

– მაინც ეს იყო ერთგვარი თავის დაზღვევა თუ ევროკავშირისთვის კოჭის გაგორება, როგორც საფრანგეთში ჩამოყალიბებული დიპლომატისგან?

– არა, დასავლეთისთვის უკვე ამგვარი განცხადებები ბევრს არაფერს ნიშნავს. თუ ამაზე ფიქრობენ, ეს უკვე წარსულის მატარებელია, სადაც ძალიან დააგვიანდათ.

პირველ რიგში სალომე ზურაბიშვილის ამ განცხადებაში, როგორც პრეზიდენტის განცხადებაში, უნდა ამოვიკითხოთ ინსტიტუციური შეურაცხყოფა საერთაშორისო დონეზე, რომელიც როგორც გარანტორს მიაყენა „ქართულმა ოცნებამ“. აქ, მე მის დიპლომატიურ გამოცდილებასაც გავუსვამდი ხაზს. როგორც დიპლომატმაც, შეიძლება შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, თუკი სანქციებზე იქნება საუბარი და პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება ამ შემთხვევაში დაეკისროს სახელმწიფოს, მისი ამ განცხადებით მან მოახდინა დემონსტრირება, რომ სახელმწიფო კი არა, ერთი პოლიტიკური ძალა, ამ შემთხვევაში მმართველი პარტია, იყოს პასუხისმგებლობის ქვეშ და არა მთლიანად სახელმწიფო. აქვე, შეიძლება თავიც დაიზღვია. ესეც არ იქნებოდა გასაკვირი.

– 2 ოქტომბერს თუ სიტუაცია უფრო გამწვავდება, უნდა ველოდოთ თუ არა პრეზიდენტისგან ვადამდელი არჩევნების დანიშვნას?

– ამ საკითხს თავიდან ბოლომდე კონსტიტუცია არეგულირებს. ამიტომ ასეთი მოლოდინი ფუჭია და მას არ აქვს სამართლებრივი თუ კონსტიტუციური საფუძველი. ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტს არანაირი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების უნარი არ შესწევს. ის სრულად არის დამოკიდებული პრემიერზე. მისი ინიციატივის გარეშე, მისი კონტრასიგნაციის გარეშე ვერანაირ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი დამოუკიდებლად ვერ მიიღებს.

რიგგარეშე არჩევნებს ქვეყანაში კონკრეტული საფუძვლები აქვს და აქ პრეზიდენტის როლი ნულის ტოლია. თუ რა შემთხვევაში ინიშნება, ეს გაწერილია კონსტიტუციის მუხლებში. თუკი, მთავრობას აღარ აქვს პარლამენტის ნდობა და ვერ ხდება ახალი მთავრობის ფორმირება, ამ შემთხვევაში ერევა პრეზიდენტი და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. ამ მიმართულებით პრეზიდენტი ვერანაირ სიახლეს ვერ შესთავაზებს ამომრჩეველს. ერთადერთი, რაც შეიძლება იყოს მისი მხრიდან, ეს მკაცრი განცხადებებია.

– პოლიტიკურად „ქართული ოცნებისგან“ უფრო მკვეთრ დისტანცირებას ელოდებით?

– ინსტიტუციურად ის ისედაც დისტანცირებულია. რაც შეეხება პოლიტიკურად – ძალიან გაუჭირდება. მას გაუხსენებენ იმ ვალდებულებას, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ „ოცნებისგან“ აქვს. ყველას კარგად ახსოვს, როგორ არის სალომე ზურაბიშვილი ორბელიანების სასახლეში შესული.

– თუ ზურაბიშვილი ძალიან გაჯიუტდა, იმპიჩმენტიც არ გაუჭირდება „ოცნებას“?

– იმპიჩმენტის დაწყებაც და შემდეგ უკვე წარმატებით დასრულებაც, ასევე კონსტიტუციით არის გაწერილი და რეალური საფუძვლები სჭირდება. როგორიც არის თანამდებობის ბოროტად გამოყენება, დანაშაულის ჩადენა და ა.შ. თან, რაც მთავარია, ეს მხოლოდ პარლამენტის გადასაწყვეტი საქმე არ არის. გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს.

– დოკუმენტი მართლაც ანულირებულია, როგორც კობახიძემ თქვა, თუ რაღაც შანსი მაინც არის?

– „ქართულ ოცნებას“ ამის ბავშვური მცდელობა აქვს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის, „ოცნება“ გავიდა და ყველაფერიც დამთავრდა. ეს დოკუმენტი ამ ხელისუფლების დიაგნოზია ევროკავშირისთვის. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. შეუძლებელია ასეთი თამაშებით დასავლეთის მოტყუება.

საქართველო ბელგიისგან საჩუქრად „ასტრაზენეკას“ 86 400 დოზას მიიღებს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ბელგიას საქართველოსთვის „ასტრაზენეკას“ 86 400 დოზის საჩუქრად გადმოცემისთვის მადლობას უხდის.

როგორც ზალკალიანი სოციალურ ქსელში წერს, მხარდაჭერა პანდემიის რთულ პერიოდში მნიშვნელოვანია.

„მადლობას ვუხდი კოლეგა სოფი ვილმესს და ბელგიის მთავრობას საქართველოსთვის გამოყოფილი „ასტრაზენეკას“ ვაქცინის 86 400 დოზისთვის. თქვენი მხარდაჭერა პანდემიის რთულ პერიოდში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ – წერს ზალკალიანი თწიიტერ-ზე.

თამარ გაბუნია – ინფიცირების 4000 შემთხვევაზე მეტი მიუთითებს იმას, რომ მეოთხე ტალღის პიკია

4 000-ზე მეტი შემთხვევაა ბოლო 2 დღის განმავლობაში, რაც მიუთითებს იმას, რომ რეალურად მეოთხე ტალღის პიკია, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, 7 000-მდე საწოლია მობილიზებული.

„4 000-ზე მეტი შემთხვევაა ბოლო 2 დღის განმავლობაში, რაც მიუთითებს იმას, რომ რეალურად მეოთხე ტალღის პიკია. ჰოსპიტალური ქსელის მობილიზება გრძელდება. 7 000-მდე საწოლია დღევანდელი მდგომარეობით მობილიზებული, დამატებითი კლინიკებიცაა ჩართული, რომ თუ პაციენტს ჰოსპიტალური მართვა სჭირდება, ჰოსპიტალში იყვნენ. გუშინ ჩვენ კიდევ დავამატეთ ონლაინ კლინიკის პერსონალი, იმისთვის, რომ სატელეფონო ზარებზე პასუხის დაგვიანებას ადგილი არ ჰქონდეს. პრევენციული ზომების გატარება ამ პირობებში საკმაოდ რთულია, მთავარი ჯანდაცვის საშუალება პირბადის გამოყენებაა“ – განაცხადა გაბუნიამ.

საქართველოს წითელ ზონად გამოცხადების შემდეგ ტურისტები სვანეთში ჯავშნებს აუქმებენ

საქართველოს წითელ ზონად გამოცხადების შემდეგ ტურისტები სვანეთში ჯავშნებს აუქმებენ. აღნიშნულ ტენდენციაზე BM.ge-ს მესტიაში მდებარე რამდენიმე სასტუმროში განუცხადეს. სასტუმრო „ფოსტას“ ადმინისტრატორი გაგა ჩართოლანი ამბობს, რომ წითელ ზონად გამოცხადების შემდეგ, ტურისტულმა სააგენტოებმა ჯგუფური ჯავშნები გააუქმეს, რადგან ტურისტებმა აქ ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს.

„წლევანდელი ზაფხულის დატვირთულობა საშუალო დონეზეა. წინა სეზონთან შედარებით, წელს უკეთესი სიტუაციაა, თუმცა, თუ შევადარებთ 2019 წელს, რა თქმა უნდა, იმ პერიოდთან შედარებით სასტუმროს დატვირთვა სამჯერ ნაკლებია. იმის გამო, რომ ქვეყანა წითელ ზონაშია, ებრაელები ჯავშნებს გვიუქმებენ. რამდენიმე ჯავშანი უკვე ოფიციალურად გაუქმებულია. არსებობს რამდენიმე ტურისტული კომპანია, რომელიც ისევ ელოდება პასუხს, თუმცა ასეთი ცოტაა. თუ გაუმჯობესდა პანდემიის მხრივ სიტუაცია, ან ცოტა მაინც არ დასტაბილურდა, ძალიან ცუდ შედეგებზე გავალთ და მერე ყველა გააუქმებს ჯავშანს. ჯამში პანდემიამ მოგება 40%-ით შეგვიმცირა“– აღნიშნა BM.ge-სთან სასტუმრო „ფოსტას“ ადმინისტრატორმა გაგა ჩართოლანმა.

BM.ge სასტუმრო „ჰეშკილის ქოხებსაც“ დაუკავშირდა, რომლის დამფუძნებელიც ამბობს, რომ დამსვენებლები ხარჯვისგან თავს იკავებენ, ამიტომ დატვირთულობის სიმცირე შესამჩნევია.

„შარშანდელთან შედარებით დამსვენებლების რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია. ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას ერიდებიან, ამიტომ შემცირება ძალიან დაგვეტყო. კიდევ ამ სიტუაციის ახსნა იმით შემიძლია, რომ ადამიანები ერიდებიან თანხების არ დახარჯვას, ალბათ მარაგებს აკეთებენ და, შესაბამისად, ხარჯვისგან თავს იკავებენ.

ჯერჯერობით ჩვენი სასტუმროს სახელით შემიძლია ვთქვა, რომ ჯავშნები არ გაუქმებულა, ვინც



დაჯავშნა, მათ ველოდებით, გაუქმების სტატუსი ჯერჯერობით არ მოგვსვლია“ – ამბობს დავით ფილფანი.

„ჰეშკილის ქოხების“ დამფუძნებელი ასევე ამბობს, რომ ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, რომელიც მათ ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო 7 აგვისტოს და ამ დრომდე მათ მთავრობის მხრიდან დასტური ჰქონდათ, გუშინ უარი უთხრეს გამართვაზე, რის გამოც ბიზნესმა ფინანსურად დიდი ზარალი ნახა.

„ჯამში ზარალიანი წელია, ორი დღით ადრე გაგვაფრთხილეს, რომ ფესტივალი არ ჩაგვეტარებინა, როცა წინა სამზადისის პერიოდში სრული თანხმობა გვქონდა მთავრობისგან. „ჰეშკილის ქოხები“ იყო ელექტრონული მუსიკის ფესტივალის „velocity-ის მასპინძელი და გუშინ გვითხრეს, რომ ფესტივალი არ გაგვემართა ეპიდ-სიტუაციის გამო... ძალიან დიდი ფინანსური რესურსი გავწიეთ ამ ფესტივალისთვის და ორი დღით ადრე უარი გვითხრეს, შესაბამისად ძალიან ბევრი ვიზარალეთ“ – აცხადებს BM.ge-სთან „ჰეშკილის ქოხების“ დამფუძნებელი დავით ფილფანი.

სვანეთი ჰეშკილის ქოხები

ვინ სად დაინფიცირდა

შტოპცოვ.გე-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ინტენსიური ტესტირების ფარგლებში, ბოლო 24 საათში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 45 229 კვლევა ტესტით, მათ შორის 26 469 კვლევა ანტიგენის ტესტით და 18 760 ჩღ ტესტით.

რაც შეეხება დადებითობის მაჩვენებელს, 3 აგვისტოს მდგომარეობით, დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 9.36 %, ბოლო 14 დღის მანძილზე – 7.65%, ხოლო 7 დღის მანძილზე – 8.35 %.

„დღეს ქვეყანაში გამოვლენილი ინფიცირების 4 233 ახალი შემთხვევიდან: თბილისში გამოვლენილია 1 924 შემთხვევა, აჭარა – 591, იმერეთი – 518, ქვემო ქართლი – 200, შიდა ქართლი – 185, გურია – 107, სამეგრელო – ზემო სვანეთი – 222, კახეთი – 270, მცხეთა-მთიანეთი -92, სამცხე-ჯავახეთი – 97, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 27.

ამ ეტაპზე ინფიცირების მიმდინარე აქტიური შემთხვევა არის 36 102, საიდანაც: 6 200 ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში, მათ შორის, თბილისის საავადმყოფოებში – 3 056, აჭარაში – 725, იმერეთში – 905. ამ ეტაპზე მძიმე პაციენტია 1 240 პირი, მათ შორის, თბილისში – 553, აჭარაში – 121, იმერეთში -281. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 261 პირი, მათგან თბილისში – 188, აჭარაში – 18, იმერეთში – 15. 2 297 ადამიანი მოთავსებულია კლინიკურ-სასტუმროებში, მათ შორის 1 010 – თბილისში, 820 – აჭარაში. 27 605 პირი ვირუსის მკურნალობის კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე.

საკარანტინე სივრცეებში მოთავსებულია 46 ადამიანი, მათ შორის, თბილისში – 41, ხოლო აჭარაში – 5.

სულ 6 ოქტომბრიდან – 3 აგვისტოს პერიოდში, სახელმწიფო საზღვრიდან საკარანტინე სივრცეებში გადაყვანილია – 24 994 პირი.

ამ ეტაპისთვის თვითიზოლაციაში იმყოფება 26 931 ადამიანი, მათ შორის თბილისში – 11 334, პირი, აჭარაში – 4 453, იმერეთში – 2 795“ – ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კორონავირუსი stopcov.ge

ბენზინი წლიურად 57%-ით, დიზელი კი 48%-ით გაძვირდა – რა ღირს საწვავი ავტოგასამართ სადგურებზე

ბენზინის ფასი ივლისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 56,86%-ით არის გაზრდილი. ამის შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან ირკვევა. აღსანიშნავია, რომ ფასის მატებით, ბენზინი ივლისის 10 ყველაზე გაძვირებულ პროდუქტებს/საქონელს შორის მოხვდა. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მისი ფასი წლიურად – 47,94%-ით არის გაზრდილი.

„სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებზე დღეის მდგომარეობით, 1 ლიტრი „პრემიუმის“ ფასი – 3.12 ლარია; „რეგულარი“ – 2.97; სუპერი – 3.20; ევრო-დიზელი კი 2.95 ლარი ღირს. რაც შეეხება დიზელს, მისი ფასი 2.85 ლარია.

„ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე კი „დიზელენერჯის“ ფასი – 2.91 ლარს შეადგენს; „ეკო დიზელის“ ტიპის საწვავის ფასი – 3.02 ლარია. „ეკოპრემიუმი“ და „ევრო რეგულარი“ დღეის მდგომარეობით, 3.14 და 2.98 ლარი ღირს; „ეკო სუპერის“ ფასმა კი 3.20 ლარი შეადგინა.

„გალფის“ სადგურებზე, 1 ლიტრი „G-Force პრემიუმის“ ფასი 3.13 ლარია; „G-Forceევრო რეგულარი“ – 3.03 ლარი ღირს; 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი – 2.99; ხოლო „სუპერის“ ფასი 3.20 ლარია. რაც შეეხება ევროდიზელსა და G-Force ევრო დიზელს, მათი ფასი 2.95 და 3.03 ლარია.

დღეის მდგომარეობით, „ლუკოილის“ ბენზინგასამართ სადგურებზე, „პრემიუმ ავანგარდი“ 3.05 ლარი ღირს, „ევრო რეგულარი“ 2.93 ლარი ღირს; „ევრო დიზელის“ ტიპის საწვავი 2.97 ლარი ღირს, „ევრო სუპერის“ ტიპის საწვავი – 3.14 ლარი; სუპერი ეცტო 100-ს კი – 3.20 ლარია.

რაც შეეხება „რომპეტროლის“ ავტოგასამართ სადგურებს, დღეის მდგომარეობით, „ეფიხ ევროდიზელის“ ფასი – 2.87 ლარია; 1 ლიტრი „ევროდიზელი“ 2.96 ლარი ღირს; რაც შეეხება სხვა ტიპის საწვავს, „ევრო პრემიუმი“ – 3.15 ლარი; „ევრორეგულარის“ ტიპის საწვავი 2.85 ლარია; ხოლო „სუპერის“ ტიპის საწვავი 3.20 ლარი ღირს.

ტერმინალი დალუქეს, ნავთობი დააყადაღეს

„ფრონტერასა“ და სახელმწიფოს შორის დავა გრძელდება

„ფრონტერა რისორსიზსა“ და საქართველოს ხელისუფლებას შორის დავა გრძელდება – მას შემდეგ, რაც „ოცნების“ ხელისუფლებასთან კომპანიის ურთიერთობები დაიძაბა, ინვესტორები ქვეყნიდან გავიდნენ. აქ არსებული აქტივები კი ასევე ამერიკულ ინვესტორსა და კომპანიას – „გრინ კაპიტალს“ დაუთმეს.

ორ ინვესტორს შორის მიღებული ეს გადაწყვეტილება სასამართლოს ძალით „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ გააჩერა, რამდენიმე დღის წინ კი სუსისა და სამართალდამცავების დახმარებით მოპოვებული ნედლეულის კონფისკაცია მოხდა.

„ფრონტერა ისთერნში“ ახლა აღარ შედის „ფრონტერა რისორსიზ“, 50-50 პროცენტიან წილებს „გრინ კაპიტალი“ და „საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია“ ინაწილებენ.

– გაუგონარი რაღაც ხდება, რეალიზაციის უფლებას არ გვაძლევენ ნავთობის, გაზის, ჩაატარეს რაღაც სპეცოპერაცია იქ, დალუქეს ნავთობი, ჭაბურღილები. სააღსრულებო ბიუროს მიაღებინეს გადაწყვეტილება, სადაც მოვალე მხარედ ისტერნი მითითებული საერთოდ არ არის, – თქვა „გრინ კაპიტალის“ იურისტმა, გიორგი ქიშმარიამ.

„ფრონტერას“ გენერალური დირექტორი, ზაზა მამულაშვილი ამბობს, რომ აქციონერების შეცვლა სახელმწიფოს საქმე საერთოდ არაა. მისივე ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ მაღალი თანამდებობის პირები, შსს-სა და სუსის თანხლებით მივიდნენ კომპანიის ნავთობტერმინალზე, ის დალუქეს, იქ არსებული ნედლი ნავთობი კი სახელმწიფოს რეზერვუარებში წაიღეს.

– ყოველგვარი კანონის, ყოველგვარი კონტრაქტის, ყოველგვარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების მიუხედავად, ასეთი უფლება მათ არ აქვთ, პრაქტიკულად აჩერებენ კომპანიის საქმიანობას, სრულიად უკანონოდ, – თქვა მან.

დაყადაღებული ობიექტი დედოფლისწყაროში მდებარეობს.

განსაკუთრებულ ინტერესს საქმეში სუსის ჩართვა აჩენს. ამერიკელი ინვესტორები უსამართლობაზე საუბრობენ, რასაც დასავლეთიდან მომავალი ინვესტიციები ეწირება.

დიდ დიღომში შენობა დაიწვა

თბილისში, დიდ დიღომში, გიორგი ტერევერკოს მეორე ჩიხში, ძველ ნაგებობას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ხანძარი მიტოვებულ შენობაში გაჩნდა. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟები.

ქეთი ჩხაიძეს ქმრის მკვლელობის საქმეში შეიძლება ბრალი დაუმძიმდეს



კასპში სასტიკად მოკლული ნოდარ ღუნაშვილის საქმეზე ღუნაშვილის ცოლს, ქეთი ჩხაიძეს, შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეს.

ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დადგინდა, რომ 31 წლის ნოდარ ღუნაშვილს თავის არეში მძიმე დაზიანება, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით მიაყენეს. გაბათილდა ღუნაშვილის ცოლის, ქეთი ჩხაიძის ჩვენება, რომ ქმარმა თავის არეში დაზიანება დაცემის შედეგად მიიღო.

ღუნაშვილის ოჯახის ადვოკატი ამბობს, რომ ცოლმა ცრუ ჩვენება მისცა და, შესაბამისად, ქეთი ჩხაიძეს ბრალი თანამონაწილეობის გამო უნდა დაუმძიმდეს.

– ექსპერტიზის დასკვნამ დაადგინა, რომ ნოდარ ღუნაშვილის მიმართ მიყენებული თავის არეში დაზიანებები სრულად გამორიცხავს ქეთევან ჩხაიძის მიცემულ ჩვენებას, რომ მან დაზიანებები მიიღო დავარდნის შედეგად ზედაპირზე. ქეთევან ჩხაიძე იყო თანამონაწილე მკვლელობის, თუმცა გამოძიება გრძელდება, – ამბობს ოჯახის ადვოკატი.

ჩხაიძის ადვოკატი, ჯაბა კოჭლამაზაშვილი ტვ პირველთან ამბობს, რომ ქეთი ჩხაიძეს მკვლელობაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია და, შესაბამისად, ბრალის დამძიმების მოლოდინი დაცვის მხარეს არ აქვს.

ნოდარ ღუნაშვილის ცხედარი კასპის საავადმყოფოზე მწყემსმა 14 მარტს იპოვა. მას ყელი ჰქონდა გამოჭრილი.

შემზარავი მკვლელობიდან რამდენიმე დღეში პოლიციამ 33 წლის მამაკაცის ბავშვობის მეგობარი, ზურაბ კახიშვილი, დააკავა.

დაკავებულია ასევე ღუნაშვილის ცოლი, ქეთი ჩხაიძე. მას გამოძიება დანაშაულის დაფარვაში ედავება.

შსს-ს მომსახურების სააგენტომ ყველა სტრუქტურული ერთეული სანომრე ნიშნების საბეჭდი აპარატებით აღჭურვა

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, მოქალაქეებისთვის სწრაფი და ხარისხიანი სერვისების მიწოდების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ ყველა სტრუქტურული ერთეული სანომრე ნიშნების საბეჭდი აპარატებით აღჭურვა.

ყველა ტიპის სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო სანომრე ნიშნების ადგილზე დამზადება მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულშია შესაძლებელი, რაც აქამდე მხოლოდ რუსთავის, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის სერვის ცენტრებში ხორციელდებოდა.

იმ სტრუქტურულ ერთეულებში, რომლებშიც ამ დრომდე ადგილზე არ მზადდებოდა სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო სანომრე ნიშნები, დაინტერესებულ პირებს წინასწარი მოთხოვნის დაფიქსირების გარეშე შეუძლიათ განაახლონ დაზიანებული, აღადგინონ დაკარგული და დაამზადებინონ მათთვის სასურველი ახალი სახელმწიფო სანომრე ნიშანი.

მომსახურების სააგენტო, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, სრულად ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებს და სერვისებით სარგებლობის ყველა მსურველს მოუწოდებს, რომ ადგილზე სერვისების მისაღებად სააგენტოში გამოცხადდნენ პირბადით.

შსს-ს თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესი აქტიურად გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების მასობრივი ვაქცინაციის პროცესი კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით აქტიურად გრძელდება.

„თბილისის ზღვის პლაზაში“ გახსნილ იმუნიზაციის ცენტრში შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, მომსახურების სააგენტოს, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს და მართლწესრიგის ოფიცრებს კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით ჩაუტარდათ აცრა.

იმუნიზაციის ცენტრში სამინისტროს თანამშრომლების ვაქცინაციისთვის ათი კაბინეტია მოწყობილი, სადაც ვაქცინაციის პროცესს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანდაცვის სამსახურის და უწყებაში დასაქმებული ექიმები ახორციელებენ. კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით, რაც სრულად უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესის და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან, როგორც „ფაიზერის“ და „სინოვაკის“, ასევე, „სინოფარმის“ ვაქცინით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, სამინისტროს 18 ათასზე მეტი თანამშრომელი უკვე ვაქცინირებულია.

რატი ბრეგაძე: „გლდანის ციხეში პატიმრებს ჟოლო მოჰყავთ“

– დღეს ციხეს მართავს ციხის ადმინისტრაცია.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ განაცხადა. მან ასევე კომენტარი გააკეთა რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით.

– რაც შეეხება რუსთავის დაწესებულებაში მომხდარ ფაქტს, პირველ რიგში, მინდა მივუსამძიმრო გადაცვლილის ოჯახს. მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც აწარმოებს ნეიტრალური ინსტიტუტი – სახელმწიფო ინსპექტორი და დარწმუნებული ვარ, რომ სიმართლე აუცილებლად იქნება დადგენილი. დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ ყველა დამნაშავე იქნება სათანადო წესით დასჯილი. თუკი ვინმე არის დაინტერესებული სიმართლის დადგენაში, პირველ რიგში, ეს ვართ ჩვენ, – აღნიშნა მინისტრმა.

მისივე თქმით, მომხდარ ფაქტს ის პირადად, ადგილზევე გაეცნო.

– ჩვენი მხრიდან მათ აქვთ მაქსიმალური მხარდაჭერა და თუ იქნება საზოგადოების ინტერესი, მზად ვართ, რომ გამოძიების ინტერესების დაუზიანებლად გავასაჯაროოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალა, – განაცხადა ბრეგაძემ.

იუსტიციის მინისტრი ასევე გამოეხმაურა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ციხეებში არსებული მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

– 2012 წლამდე ჩვენს ციხეებში არსებული მდგომარეობა იხილა მთელმა მსოფლიომ. მას შემდეგ გატარდა ძალიან ბევრი რეფორმა, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვაზე. 2012 წლის შემდეგ სტრასბურის სასამართლოში არ შესულა არც ერთი საჩივარი, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ციხეში ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. მაგალითად, გლდანის ციხეში, რომელიც წამების სიმბოლო იყო, დღეს ადამიანები არიან დასაქმებული და აქვთ შემოსავალი. მათ მოჰყავთ ჟოლო, რომლის შეძენაც სხვადასხვა მაღაზიაში არის შესაძლებელი, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

ვარკეთილში მაჰათმა განდის ძეგლს სათვალე მოპარეს

ვარკეთილში მდებარე სკვერში, ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწის მაჰათმა განდის ძეგლი დააზიანეს. ამის შესახებ თბილისის მერმა გუშინ, 4 აგვისტოს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

– ძეგლი უკვე დაზიანებულია, მოხსნილია სათვალე. ძეგლს მოპარეს სათვალე, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა ამაზე. ძალიან სამწუხაროა, რთულია, მისცე ამ ყველაფერს შეფასება და კიდევ უფრო ძნელია იმის გააზრება, რომ ხშირად ვანდალიზმის ჩამდენი პირები არიან მოზარდები და მათ აგრესიულ ქცევას, ვანდალიზმს მშვიდად ადევნებენ თვალყურს უფროსები. მინდა ყველას ვთხოვო გვერდში დაგვიდგნენ ამ მიმართულებით, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ მოვუფრთხილდეთ ქალაქს, – განაცხადა კახა კალაძემ.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების და ქონებრივი დაზიანების ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად დამზადება-გამოყენებისა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სახელმწიფოს მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს, ხოლო ბრალდებულის სახით სამი პირი პასუხისგებაში მისცეს. ამის შესახებ ინფორმაციას თავად უწყება ავრცელებს.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღებისა და დღგ-ს ყალბი აქტივების შექმნის მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფ 10-მდე კომპანიის სახელით, გაწერეს ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები, თითქოსდა ურთიერთშორის განახორციელეს სხვადასხვა სახის მომსახურების მიწოდება, რა გზითაც მათსავე კომპანიებს შეუქმნეს ჯამში 318 503 ლარის ოდენობის ყალბი აქტივი, რაც შემდგომში გამოიყენეს კომპანიების საბიუჯეტო ვალდებულებების დასაფარავად.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 185-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

ლაგოდეხში დაკარგული გელა ჯიბღაშვილი სახლში დაბრუნდა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარიანიდან დაკარგული ბიჭი ნაპოვნია.

14 წლის გელა ჯიბღაშვილი ოჯახში გუშინ, 4 აგვისტოს, დაბრუნდა. დეიდის ინფორმაციით, როგორც მოზარდმა თქვა, თბილისში იმყოფებოდა და გზა აებნა. სოფელში კი სამარშრუტო ტაქსით დაბრუნდა.

მისი ადგილსამყოფელის დასადგენად, სამართალდამცავები რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობდნენ. გუშინ კი ლაგოდეხის პოლიციის სამმართველოში მოზარდის დედა და დეიდა გამოკითხეს. ოჯახის წევრების ინფორმაციით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბიჭი სახლიდან დაუკითხავად გავიდა, თუმცა, სხვა დროს გაუჩინარების შემთხვევა არ ყოფილა.

„ცხვრის ფარას მოარიდა მანქანა და ხრამში გადავარდა“

თუშეთში ავარიას მძღოლი ემსხვერპლა

გუშინ, 4 აგვისტოს, ფშაველი-აბანოომალოს გზაზე მანქანა რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. დაიღუპა 1 ადამიანი, დაშავებულთაგან ერთის ამოყვანა მოხერხდა.

ავარიის დროს გარდაცვლილი მამაკაცი სოფელ ქვემო ალვანის მკვიდრია.

თვითმხილველების ინფორმაციით, შემთხვევის დროს მანქანაში მძღოლი და ერთი გერმანელი ტურისტი ქალი იმყოფებოდნენ.

მაღალი გამავლობის მანქანა რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. შედეგად ადგილზე გარდაიცვალა შუახნის მამაკაცი, რომელიც მანქანას მართავდა, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის გადარჩენა შეძლეს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დაშავებული პირი კლინიკაშია გადაყვანილი.

– თუშეთისკენ მიდიოდნენ „ტოიოტას“ მარკის მანქანით და ე.წ. ბოთლის წყლამდე არ მისულმა ცხვრის ფარას მოარიდა მანქანა და, სავარაუდოდ, ამ დროს გამოეცალა გზა. რამდენიმე მეტრის სიმაღლეზეა გადავარდნილი. რაც დავინახეთ, მძღოლი ქვემო ალვანელია და ადგილზე იყო გარდაცვლილი, უცხოელი გერმანელი ტურისტი გოგო კი კარგად იყო, თავის ფეხით გადმოვიდა. ამბობენ, ბავშვიც იყოო, მაგრამ კარგად არისო. მეტი არაფერი ვიცით.

ადგილზე პოლიცია, სამაშველო და სასწრაფო მუშაობს. ისე ცუდი გზა არ არის, მაგრამ სახიფათოა და მეტი ყურადღებაა საჭირო. სულ დამეწყრილი ადგილებია და სიფრთხილეა საჭირო, – აცხადებენ თვითმხილველები.

საქართველოსა და უკრაინის საზღვაო დანაყოფების ერთობლივი წვრთნები ჩატარდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, უკრაინელ კოლეგებთან ერთად, შავ ზღვაში ერთობლივი წვრთნები ჩაატარეს.

სწავლებაში საქართველოს სანაპირო დაცვის „აილენდის“ კლასის ხომალდი „ოჩამჩირე“ (P23) და ხომალდი „სოხუმი“ (P24) მონაწილეობდა. წვრთნებში უკრაინის მხრიდან შეიარაღებული ძალების სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილი საპატრულო კატარღა „სლავიანსკი“ (P190) ჩაერთო.

წვრთნების მიმდინარეობისას, საქართველოსა და უკრაინის საზღვაო დანაყოფებმა დაგეგმეს და განახორციელეს სხვადასხვა სასწავლო ელემენტი: ერთობლივი საზღვაო მანევრები, საწვავის გადაცემის იმიტირება გემიდან გემზე, „ადამიანი ბორტს მიღმა“, ხომალდის ბუქსირება.

ერთობლივი წვრთნები ნატოს სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად ჩატარდა.

საერთაშორისო

ჯანმო: „მესამე დოზით ვაქცინაციაზე სექტემბრის ბოლომდე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს“

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ქვეყნებს მოუწოდებს, მესამე დოზით მოსახლეობის ვაქცინაციაზე მინიმუმ სექტემბრის ბოლომდე მორატორიუმი გამოცხადდეს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ტედროს ადჰანომ გებრეიესუსის განცხადებით, მსოფლიოში ასობით მილიონი ადამიანი ჯერ კიდევ ვაქცინის პირველ დოზას ელოდება, როცა მდიდარი ქვეყნები მესამე, ე.წ. „ბუსტერ“ დოზით აცრას იწყებენ.

მისი თქმით, ამ დრომდე მსოფლიოში ვაქცინების 4 მილიარდზე მეტი დოზა გაიცა. მათგან 80% მაღალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებმა მოიხმარეს. თუმცა მათი მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებია.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ვაქცინების ნაკლები მარაგების გამო ყოველ 100 მოსახლეზე 1.5 დოზა მოდის.

– ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევცვალოთ ეს ტენდენცია და ვაქცინების უმეტესობა უნდა მიემართოს დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისკენ. შესაბამისად, ჯანმო მოუწოდებს, მინიმუმ სექტემბრის ბოლომდე „ბუსტერ“ დოზებზე მორატორიუმი გამოცხადდეს, რათა ყოველი ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 10%-ის აცრა მოხერხდეს, – განაცხადა გებრეიესუსმა.

ზელენსკი: „ყირიმი რუსეთის ტერიტორია არასოდეს იქნება!“

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ყირიმი ძირძველი უკრაინული ტერიტორიაა და მოსკოვმა ის უკანონოდ მიიტაცა.

ყირიმი უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება, ეს დროის საკითხია.

– ყირიმი რუსეთის ტერიტორია არასოდეს იქნება! – თქვა ზელენსკიმ.

ბანგლადეშში მეხის დარტყმის შედეგად 17 ადამიანი გარდაიცვალა

ბანგლადეშის ჩაპაინავაბგანჯის რაიონში, მეხის დარტყმის შედეგად საქორწილო წვეულების სულ მცირე 17 სტუმარი დაიღუპა.

დაშავებულია 7 ადამიანი.

ტრაგიკული შემთხვევა მდინარე პადმას სანაპიროზე მოხდა, სადაც ნავს, რომელსაც ქორწილის ათობით სტუმარი გადაჰყავდა, მეხი დაეცა.

ბოლო წლების განმავლობაში ბანგლადეშში მეხის დარტყმის შედეგად გარდაცვალების შემთხვევებმა მნიშვნელოვნად მოიმატა.

ექსპერტები ამ ფაქტს კლიმატის ცვლილებას უკავშირებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

გააფთრებული სპილო ბრბოს გაეკიდა და მამაკაცი გადათელა

ინდოეთის ასამის შტატის გოლაგატის რაიონში 45 წლის პაჩკალ მურა გასრისა გააფთრებულმა სპილომ, რომელიც ბრბოს თავს დაესხა.

დაახლოებით 100-მდე სპილო თავიანთ ნაშიერებთან ერთად გზაზე გადადიოდა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეოს კადრებში ჩანს, რომ ბრბო შუაზე გაიყო და ცხოველებს გზა დაუთმო. იმისთვის, რომ სპილოებს მალე გაევლოთ, ადგილობრივებმა ასფალტზე ფეხსაცმელების დარტყმა დაიწყეს, ნაწილი სხვადასხვა ფერის ნაჭრებს აფრიალებდა და ყვიროდა, ხოლო ისინი, ვინც ავტომობილებში ისხდნენ, გაბმით ასიგნალებდნენ.

სპილოები თითქმის მთლიანად ტყეში იყვნენ შესული, როდესაც მოულოდნელად ერთი მოზრდილი ცხოველი მათ გამოეყო და ბრბოსკენ გაქანდა. მისი ყურადღება მიიპყრო მურამ, რომელიც წაბორძიკდა და გზის პირას მდებარე თხრილში ჩავარდა. სპილომ მას რამდენიმეჯერ გადაუარა, შემდეგ კი მიწაზე ათრია. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ის მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

სანდრო მამუკელაშვილს ორმხრივი კონტრაქტი გაუფორმეს



ქართველმა კალათბურთელმა სანდრო მამუკელაშვილმა და ნბა-ს ჩემპიონმა მილუოკი ბაქსმა ორმხრივი კონტრაქტი გააფორმეს. შეგახსენებთ, რომ მამუკელაშვილი გასულ დრაფტზე 54-ე ნომრად ინდიანამ აირჩია, მაგრამ, წინასწარი გარიგების თანახმად, მილუოკელებს დაუთმო.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სანდროს ძირითადი კონტრაქტი გარანტირებული აქვს. ნბა-ში ორმხრივი კონტრაქტის წესი 4 წლის წინ შემოიღეს და ახლა მას აქტიურად იყენებენ. ნბა-ს კლუბები იმ ახალბედა კალათბურთელებს უფორმებენ, რომელთაც თამაში, ძირითადად, ჯეი ლიგის კლუბებში უწევთ.

კონტრაქტი მაქსიმუმ 2 წლით ფორმდება – ბონუსებისა და სხვა დამატებითი ოფციების გარეშე.

მამუკელაშვილს თამაში განვითარების ლიგაში რომ მოუწევდა, აქამდეც იკვეთებოდა. თუმცა, შანსი მილუოკი ბაქსშიც მიეცემა.

ქართველმა ფორვარდმა ნბა-ს ჩემპიონში პირველი ვარჯიში უკვე ჩაატარა.

უახლოეს მომავალში მამუკელაშვილი ბაქსის მაისურით ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაში ითამაშებს. მილუოკი კლიპერსს (10 აგვისტო), ბრუკლინს (12 აგვისტო), მინესოტასა (14 აგვისტო) და ვაშინგტონს (16 აგვისტო) გაეჯიბრება, კიდევ ერთი მეტოქის (16-18 აგვისტო) ვინაობა კი, მოგვიანებით გაირკვევა.

ლას ვეგასშივე უნდა ეთამაშა ინდიანას ქართველ ცენტრ გოგა ბითაძესაც. თუმცა, ჩვენებურმა გუნდის საწყისი 2 ვარჯიში გამოტოვა – მიზეზი ტრავმაა.

აი, რა წერია კლუბის ვებგვერდზე:

– საზაფხულო ლიგისთვის მზადების საწყის ვარჯიშებში გოგა ბითაძეს მონაწილეობა არ მიუღია. მიზეზი ზურგის ტკივილია. გოგას ყოველდღიურად შეამოწმებენ ექიმები, ჩვენ კი საჭიროებისამებრ ახალ ინფორმაციებს მოგაწვდით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

მეორადების ბაზრობაზე შეძენილი ნახატი ცნობილი მხატვრის გატაცებული შედევრი აღმოჩნდა

ინგლისის უილტშირის საგრაფოს ქალაქ როიალ ვუგტონ-ბასეტში ანტიკვარული მაღაზიის მფლობელმა აღმოაჩინა, რომ მეორადების ბაზრობაზე მის მიერ შეძენილი ნახატი გალერეიდან იყო გატაცებული და ცნობილი ფრანგი მხატვრის ეჟენ ბუდენის იშვიათ ნამუშევარს წარმოადგენდა.

მაღაზიის მფლობელმა იონ უაიტმა განაცხადა, რომ სურათი მას ქალმა სხვა ნივთებთან ერთად გარდაცვლილი მამის სახლიდან მიჰყიდა. ქალმა მას განუმარტა, რომ ნახატი „სცენა პლაჟზე ტურვილში“ მამამისმა რამდენიმე წლის წინ ლონდონში, მეორადების ბაზრობაზე იყიდა.

ნახატი განსაკუთრებულად გამოიყურებოდა. უაიტმა გადაწყვიტა, მასზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოეპოვებინა, რათა შემდეგ მისი მომავალი მყიდველისთვის უფრო სამართლიანი ფასი შეეთავაზებინა. მამაკაცი რიჩარდ გრინის გალერეას დაუკავშირდა, რომელიც ნახატის ბოლო კანონიერი მფლობელი აღმოჩნდა. შემდეგ მან ინფორმაციისთვის გატაცებული ხელოვნების ნაწარმოებების მონაცემთა ბაზას მიმართა. აღმოჩნდა, რომ 1990 წლის 8 მაისს ვიღაცამ ნახატი გალერეიდან გაიტანა და მას შემდეგ ის აღარავის უნახავს.

– აშკარაა, რომ ჩვენი გამყიდველი ქალის მამამ აღნიშნული ნახატი კეთილსინდისიერად შეიძინა. მივმართავ ყველას, ვისაც შეუძლია დაგვეხმაროს ნახატის ადრინდელი მფლობელის ან სადაზღვევო კომპანიის დადგენაში, რათა მისი დაბრუნება შევძლოთ, – ხაზგასმით აღნიშნა უაიტმა.



საბანაოდ წასულმა 18 წლის გოგონამ თავი ნიანგის ყბებში ამოყო

ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრები 18 წლის გოგონა არდადეგების გასატარებლად მექსიკაში ჩავიდა და თავი ნიანგის ყბებში ამოყო.

ივლისის ბოლოს კიანა ჰამელი და მისი დაქალი მექსიკის ხალისკოს შტატის საკურორტო ქალაქ პუერტო-ვალიარტაში სასტუმრო მერიოტში გაჩერდნენ. ღამით ისინი საბანაოდ წავიდნენ. გოგონები ჯერ ისევ ნაპირზე იმყოფებოდნენ, როდესაც მოულოდნელად წყლიდან ნიანგი ამოიჭრა, ჰამელს კბილები მარჯვენა ფეხში ჩაავლო და მისი წყლის სიღრმეში ჩათრევა სცადა.

გოგონამ ამ უჩვეულო სიტუაციაში სიმშვიდის შენარჩუნება მოახერხა და ამან გადაარჩინა. მან მტაცებელ რეპტილიას მთელი ძალით დაუშინა მუშტები. ბოლოსდაბოლოს, ნიანგმა გოგონას მარჯვენა ფეხზე პირი გაუშვა, თუმცა მაშინვე მისი მარცხენა ფეხის ტერფს ჩააფრინდა და ისევ სცადა წყალში მისი ჩათრევა.

შორიახლოს მყოფმა სარა ლეინიმ გოგონას ყვირილის ხმა გაიგონა, რომელიც შველას ითხოვდა და მეგობრებთან ერთად მის დასახმარებლად მიირბინა. მათ ერთად აიძულეს ნიანგი გოგონასთვის თავი დაენებებინა.

– მხოლოდ ის მახსოვს თუ როგორ ვამბობდი: „გთხოვთ, არ მიმატოვოთ.“ აღარ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. ნამდვილი საშინელება იყო, – გაიხსენა ჰამელმა.

ამ დროისთვის 18 წლის გოგონა სიარულს ვერ ახერხებს. მან ღრმა ჭრილობები მიიღო მტაცებლის თავდასხმის შედეგად. ლეინიმ, რომელიც ნიანგის თავდასხმის შემდეგ ჰამელთან დარჩა, განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოძახებიდან მხოლოდ 45 წუთის შემდეგ მივიდა.

დაშავებული გოგონას დედის არიანა მარტინეზის თქმით, საავადმყოფოში ექიმებმა რამდენიმე ათასი დოლარის გადახდა მოითხოვეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს მისი მკურნალობა.



მამაკაცი 22 წელი სწავლობდა დაწყებით სკოლაში და 38 წლისამ აიღო დიპლომი

კენიაში 38 წლის მამაკაცმა, რომელიც დაწყებით სკოლაში 22 წელი სწავლობდა, უნივერსიტეტი დაამთავრა და უმაღლესი განათლების დიპლომი მიიღო.

სწავლის დროს მეთიუ აოლ ნიამლორი ხუთ სხვადასხვა დაწყებით სკოლაში დადიოდა და ცხრაჯერ წარმატებით ჩააბარა გამოცდები, რომლებიც აუცილებელი იყო საშუალო სკოლაში ჩასაბარებლად. პრობლემა მდგომარეობდა არა ცუდად სწავლაში, არამედ იმაში, რომ საშუალო სკოლაში სწავლისთვის ფულია გადასახდელი. მას არ ჰქონდა ფული, ამის გამო ის პირველ კლასში ბრუნდებოდა და სწავლას თავიდან იწყებდა.

2004 წელს ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორს ნიამლორი შეეცოდა და უფლება მისცა სწავლის გადასახადი მოგვიანებით გადაეხადა. ვინაიდან მან სწავლის საფასურის მოძიება მაინც ვერ მოახერხა, ის 2006 წელს სკოლიდან გარიცხეს. ერთი წლის შემდეგ ის ნაირობიში გაემგზავრა სამუშაოს მოსაძებნად, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო და ისევ დაწყებით სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა. 2011 წელს მისმა სიჯიუტემ შედეგი გამოიღო, მას გამოუყვეს სტიპენდია, რომელიც სწავლის ხარჯებს უფარავდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ნიამლორმა სწავლა უნივერსიტეტში გააგრძელა. მიმდინარე წლის 23 ივლისს კი მან სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის ბაკალავრის ხარისხი მიიღო.

უიღბლო მძარცველი დანაშაულის ადგილიდან უშარვლოდ და უფულოდ გაიქცა

ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში უიღბლო მძარცველი იძულებილი გახდა, დანაშაულის ადგილიდან ნადავლისა და საკუთარი შარვლის გარეშე გაქცეულიყო.

აღნიშნული ინციდენტი სათვალთვალო ვიდეო კამერამ დააფიქსირა. ბოროტმოქმედი 25 წლის მამაკაცს დაესხა თავს, ძირს დააგდო და მისთვის ფულის წართმევას შეეცადა. მსხვერპლმა მას თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია და იმდენი მოახერხა, რომ შარვალი ჩააძრო.

ორთაბრძოლამ გარშემომყოფთა ყურადღება მიიპყრო. მამაკაცს ჯერ ერთი გამვლელი, შემდეგ კი კიდევ ორი ადამიანი მიეხმარა, რომლებიც იქვე მდებარე სახლიდან გამოვარდნენ.

საბოლოოდ თავდამსხმელი იძულებული გახდა მარცხი ეღიარებინა და თავს გაქცევით უშველა. ახლა მას ნიუ-იორკის პოლიცია ეძებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

შოთა იათაშვილი თეა წულუკიანთან შეხვედრას იხსენებს



პოეტი შოთა იათაშვილი კულტურის მინისტრ თეა წულუკიანთან შეხვედრას იხსენებს:

– შუა მაისი იყო, მე და მალხაზ ხარბედია თეა წულუკიანს რომ შევხვდით ლიტერატურულ პერიოდიკასთან დაკავშირებით. ესეც მას შემდეგ მოხდა, რაც მწერლებმა გაჩერებული პერიოდიკის თემა გაახმაურეს და „ფორმულაზეც“ ამ საკითხს თოქ-შოუ მიეძღვნა.

ეს შეხვედრა საკმაოზე მძიმე აღმოჩნდა. მინისტრი კონტექსტიდან ამოვარდნილ კითხვებს გვისვამდა და აშკარად ეჭვის თვალით გვიყურებდა. ცოტა ხანში მთავარ დაბრკოლების წერტილამდეც მივაღწიეთ:

– ჟურნალში რა იბეჭდება, ამას ვინ წყვეტს? – გვკითხა მან.

– ვინ უნდა წყვეტდეს, რედაქტორი, სარედაქციო ჯგუფი წყვეტს, – ცოტა არ იყოს გაკვირვებულებმა ვუპასუხეთ ჩვენ.

– ანუ ეგ როგორ, არავინ ამოწმებს მერე, რამდენად სწორ გადაწყვეტილებას იღებთ თქვენო? ასე უნდა ვენდო რედაქტორებს და მათ გემოვნებასო?.. – ძალიან არ მოეწონა ეს ამბავი ქალბატონ თეას და ამ მისთვის ფრიად უსიამოვნო მომენტს კარგა ხანი უკირკიტა. ცდილობდა, რაღაც ახალი, ვერტიკალური სისტემა მოეგონებინა, რომლის მეშვეობითაც ჟურნალების სარედაქციო პოლიტიკა რამენაირად გაკონტროლდებოდა.

დიალოგი თანდათან ბრაზიან პოლემიკაში გადავიდა. მას ჩვენი არ ესმოდა, ჩვენ – მისი. „დიდი უცნაური ხალხი ხართ ეს მწერლები!“ – რაღაც მომენტში აღმოხდა იუსტიციის წესებით მოფიქრალ მინისტრს. დამამახსოვრდა მისი ეს გულწრფელი ფრაზა, იმიტომ, რომ მასში ჩანდა მთელი ის უპერსპექტივობა, რასაც ასეთი წყობის ადამიანის კულტურის მინისტრად გამწესება იძლეოდა.

მიუხედავად ასეთი ურთიერთგაუგებრობებისა, ბოლოს ის მაინც შეგვპირდა, რომ ლიტერატურულ პერიოდიკაზე კონკურსს მალე გამოაცხადებდა. ეს „მალე“ უკვე ორთვენახევარია გრძელდება.

და რატომ გაიწელა თუ საერთოდ გაჩერდა ეს საკითხი ასე? იმიტომ ხომ არა, რომ მინისტრს გაუჭირდა ლიტერატურულ ჟურნალებში მაკონტროლებელი მექანიზმის მოფიქრება? „ლიტერას“ პრობლემამ მე უცებ ნათლად დამანახა, თუ რატომ ითრევს ფეხს მინისტრი და მაინცდამაინც არ ეპიტნავება ლიტერატურული ჟურნალების დაფინანსება. ლიტერატურული კონკურსის ჟიურიში საკუთარი წარმომადგენლის ჩასმა შედარებით იოლი ფანტაზიის ნაყოფია, აი, რედაქციებში კი, ეტყობა, ცოტა არ იყოს, ვერ მიხვდნენ, ეს როგორ გაეკეთებინათ.

მაგრამ „ძალიან უცნაური ხალხი ვართ ეს მწერლები“ და ჩვენთვის მთავარ ღირებულებებს აცდენილ მინისტრს მკაფიო მესიჯი გავუგზავნეთ. იმ ძველი, საბჭოური წესებით ის ჩვენთან ვერ ითანამშრომლებს. და კეთილი ინებოს და ან გაუგოს „უცნაურ ხალხს“, ან – დაახვიოს. მესამე გზა პოეზიაშია ხოლმე მხოლოდ, აქ – არ არის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ცურვის არმცოდნე გოგონამ ბიჭი დახრჩობას გადაარჩინა

შოტლანდიის ქალაქ პერტში რვა წლის გოგონა ტირნი ბატი 12 წლის ბიჭის გადასარჩენად წყალში გადახტა, მიუხედავად იმისა, რომ ცურვა არ იცოდა.

აღნიშნული ინციდენტი ივლისის შუა რიცხვებში მოხდა. ტირნი ნაპირთან თამაშობდა და პირველმა გაიგონა 12 წლის კაიდენ პეტერსონის ძახილი, რომელიც მდინარე ტეიში იხრჩობოდა. როდესაც გოგონა მიხვდა, რომ ბიჭის დასახმარებლად არავინ მიდიოდა, წყალში გადახტა და ცდილობდა, ბიჭის თავი მაშველების მოსვლამდე წყლის ზედაპირზე შეემაგრებინა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ტირნიმ ცურვა არ იცოდა, წყალში გადახტომის წინ ერთი წამითაც კი არ შეყოყმანებულა.

პეტერსონის დედამ შვილის მხსნელს მადლობა გადაუხადა და გოგონას „წარმოუდგენლად მამაცი, მშვიდი და უბრალოდ საოცარი“ უწოდა.

– პატარა გოგონამ გააკეთა ის, რის გაფიქრებაც კი ბევრ მოზრდილ ადამიანს აშინებს. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გადმოსაცემად. ყველაფერი სულ სხვაგვარად დასრულდებოდა, ის რომ არ დახმარებოდა ჩემს შვილს, – განაცხადა ბიჭის დედამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სივასპორის მწვრთნელი ბათუმში ჩამოსვლამდე ფრთხილობს

დღეს, 5 აგვისტოს, ბათუმის დინამო უეფას კონფერენციის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქულ სივასპორს შეხვდება.

მართალია, წინა წრეში სივასმა მოლდოვური პეტროკუბი მოკრძალებული ანგარიშებით, (1:0, 1:0) დაამარცხა, მაგრამ მეტოქე სერიოზულია.

ბათუმში ჩამოსვლამდე სივასის მთავარმა მწვრთნელმა ადგილობრივ მედიასთან ისაუბრა.

ერდოღან იესილიურტი:

– წინა სეზონში არ გაგვიმართლა და ჯგუფიდან ვერ გავედით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წელს ჯერ ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდეთ, მერე კი, იქიდანაც გავიდეთ. ბათუმის დინამო რთული მეტოქეა, ამიტომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ეტაპი გავიაროთ. აუცილებელია, პირველ მატჩში დიდი ბრძოლა გავმართოთ და ბათუმიდან უპირატესობით დავბრუნდეთ.

ჩემპიონატში უკვე 21 მატჩი ჩაატარეს და არის წამყვანი გუნდი საქართველოში. ძალიან საშიში მოწინააღმდეგეა. კარგია როგორც შეტევაში, ასევე – დაცვაში. გუნდი, მუდამ გატანაზე ფიქრობს. მათ ბოლო მატჩი გასვლაზე 4:1 მოიგეს. 2 ძალიან რთული მატჩი გველის. მაგრამ, რა თქმა უნდა, მეტოქის არ გვეშინია.

დიდი დანაკლისი გვაქვს. ხვალინდელ შეხვედრაში 7-8 ფეხბურთელი ტრავმის გამო არ გვეყოლება. მიუხედავად ამისა, არ გვეშინია. გასულ სეზონში ევროპალიგაზე კარგად ვითამაშეთ. ტრავმის გამო რამდენიმე მოთამაშე მაშინაც გვაკლდა, თუმცა კარგი გამოცდილება მივიღეთ. დანაკლისის მიუხედავად, გვყავს სხვა ფეხბურთელები, რომლებსაც ვენდობით.

ველოდით კოტ დივუარის ნაკრებიდან მაქს გრადელის დაბრუნებას, რაც მისი ქვეყნის ნაკრები ოლიმპიადის ტურნირიდან გავარდა. თუმცა, კიდეც რომ ჩამოესწრო, დიდხნიანი განშორების შემდეგ, შესაძლოა, არაეფექტურიც ყოფილიყო. ამიტომ, გრადელი პირველ თამაშში არ იქნება, მაგრამ ვეცდებით, საპასუხო მატჩში დავიხმაროთ.

საქართველო მეზობელი ქვეყანაა და ძალიან გვიყვარს. ქართველები ძალიან სასიამოვნო ხალხია. კარგია, რომ სამშობლოსთან ახლოს გვიწევს თამაში. ჩვენს ქვეყანაში ხანძრის გამო მძიმე დღეებია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მოედანზე ყოველთვის მხოლოდ მოსაგებად გავდივართ და ჩვენი ქვეყნისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

საქართველოში გამომგზავრებამდე სივასმა ნიგერიელი ნახევარმცველი აზუბუიკე ოკეჩუკუ დაიმატა.

უეფას გადაწყვეტილებით, ბათუმის დინამოსა და სივასის მატჩს ბოსნიელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. არბიტრი ირფან პელტო იქნება, რომელსაც სენად იბრისიმბეგოვიჩი და დავორ ბეღო დაეხმარებიან, ხოლო მეოთხე მსაჯი მილოშ გიგოვიჩი იქნება.

მატჩზე დასწრება თურქული კლუბის ბევრ გულშემატკივარს სურდა, მაგრამ კლუბმა გულშემატკივრებს ამცნო, რომ საქართველოში ფანების დასწრება შეუძლებელია.

5 აგვისტოს ბათუმში თამაში 21:00 საათზე დაიწყება. საპასუხო დაპირისპირება კი, 12 აგვისტოს „სივას არენაზე“ გაიმართება. ამ გუნდებს შორის მოგებული ფლეი ოფში პლოვდივის ლოკომოტივისა და დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენის წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

19 წლამდე ნაკრებმა აზერბაიჯანი დაამარცხა

საქართველოს 19-წლამდე ვაჟთა ნაკრები აზერბაიჯანში იმყოფება და იქაურ თანატოლებთან 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს.

პირველი უკვე გაიმართა და საქართველოს ნაკრებმა მეტოქე 3:2 დაამარცხა.

ანგარიში გიორგი კვერნაძემ გახსნა, პირველ ტაიმში სხვაობა ორამდე გეგი გეგუჩაძემ გაზარდა, ნახევარი საათის თავზე გიზო მამაგეიშვილმა მეტოქე გუნდის კარში მესამე გოლის გატანა შეძლო.

შემდეგ საქართველოს ნაკრები მოეშვა და და საკუთარ კარში 2 გოლი მიიღო. აზერბაიჯანელთაგან ვუსალ ალიევმა და მაჰმუდ აგაევმა გაიტანეს.

აღნიშნული მატჩი, 19-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის, ვასილ მაისურაძისთვის ახალ გუნდთან ერთად პირველი საერთაშორისო ოფიციალური შეხვედრა გახლდათ. მეორე ტესტ-მატჩს, ასაკობრივი ნაკრები აზერბაიჯანული შეკრების ფარგლებში, ისევ მასპინძელ გუნდთან გამართავს.

ჩრდილომაკედონიური ჩელენჯერი საქართველომ მარცხით დაიწყო

ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში 18-წლამდელთა ტოპ-ნაკრებთა ჩელენჯერი დაიწყო, რომელშიც მასპინძლებთან ერთად საქართველოს, სერბეთის, ესპანეთის, გერმანიისა და ხორვატიის ნაკრებები მონაწილეობენ.

დავით როგავასა და კახა ტომარაძის გაწვრთნილ გუნდს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ბ დივიზიონში მყოფ საქართველოს, წლეულს გაუქმებულ ა დივიზიონის გუნდებთან ასპარეზობისა და ძალების მოსინჯვის შანსი მიეცათ. სოლიდური გამოცდილების მიღებაზე ჩვენებმა უარი არ თქვეს.

შედეგად, საქართველო ასეთ ძლიერ ჩელენჯერში მოხვდა. ყველაზე სუსტად ჩრდილოეთ მაკედონია შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, თუ გაითვალისწინებთ, რომ ტურნირი ამ ქვეყანაში ტარდება, მასპინძლებიც საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენენ.

ქართველების პირველი მეტოქე ესპანეთი გახლდათ, რომელიც ბოლოს ჩატარებული 18-წლამდელთა ა დივიზიონის გამარჯვებულია. რაც არ უნდა იყოს, ამ ქვეყნის საკალათბურთო ნაკრები ყოველთვის ფავორიტთა შორისაა.

ესპანელები მეთოდურად ზრდიდნენ ანგარიშს, საქართველო სამი მეოთხედის მანძილზე თითქოს რაღაცას ცდილობდა, მაგრამ ბოლო ათწუთეული ქართველებმა 2:18 წააგეს და საბოლოოდ შეხვედრაც დათმეს – 42:74

ჩვენს გუნდში საუკეთესო შედეგიანობა ლუკა კუჭუხიძემ აჩვენა, რომელმაც 8 ქულა და 8 მოხსნა მოინაგრა. ბომბარდირი 11 ქულით ლუკა ლიკლიკაძე გახდა, რომელმაც 5 მოხსნა და 2 ჩაჭრაც მიითვალა, თუმცა დაკარგვები ჰქონდა ზომაზე მეტი.

ჩვენს ჯგუფში გამართულ მეორე შეხვედრაში სერბეთმა გერმანიას 91:78 სძლია, ხოლო ხორვატებმა 108:77 დაამარცხეს ჩრდილოეთ მაკედონია. საქართველოს ნაკრები ჯგუფის მეორე შეხვედრას სწორედ მასპინძელ მაკედონიელებთან გამართავს..

ᲩᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

4 აგვისტო

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ᲯᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ – ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ჩინეთი-სერბეთი 70:77
ავსტრალია-აშშ 55:79
იაპონია-ბელგია 86:85
ესპანეთი-საფრანგეთი 64:67

3 აგვისტო

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘ�გᲐ
ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘ

მალმიო-რეინჯერსი 2:1
სპარტა-მონაკო 0:2
გენკი-შახტარი 1:2
ბსვ-მიდტიულანდი 3:0
კლუჟი-იანგ ბოიზი 1:1
ოლიმპიაკოსი-ლუდოგორეცი 1:1
ცრვენა ზვეზდა-შერიფი 1:1

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲔᲕᲘᲠᲝᲞᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ
ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘ

ნეფთჩი-ჰიკი 2:2

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ

ბოჰემიანსი-პაოკი 2:1
ლინფილდი-ფოლა 1:2

ᲙᲐᲚᲔᲗᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ქალმა ციხეში მჯდომ საქმროს საკნის ფანჯარასთან კონცერტი მოუწყო

მელანი როდრიგესმა ციხის შენობასთან ორკესტრი შეკრიბა, რათა იქ მჯდომი თავისი საქმროსთვის დაბადების დღე მიელოცა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ტიკტოკში გამოქვეყნდა.

ვიდეორგოლი გამოაქვეყნა მისმა მომხმარებელმა, სახელად კლაუდიამ და მას შემდეგი კომენტარი დაურთო: „თუ სასჯელს ფედერალურ ციხეში იხდით და თქვენი შეყვარებული ამას არ აკეთებს თქვენთვის, უბრალოდ, მთელი თქვენი ყურადღება საკუთარ თავზე გადაიტანეთ და ის კი დაივიწყეთ“. კადრებში ჩანს, თუ როგორ უყურებს ქალი დურბინდით ციხის ფანჯარაში შეყვარებულს ორკესტრის საზეიმო მუსიკის ფონზე. მის ზურგს უკან კი მოჩანს ჩამოკიდებული წარწერა: „დაბადების დღეს გილოცავ, პაწიავ!“ უცნობია, კერძოდ რომელი ციხის კედლებთან ხდებოდა ეს ყოველივე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრობაში მყოფმა მამაკაცმა, სახელად დოჯერმა, როდრიგესს ხელი სთხოვა. ქალი კი შეპირდა, რომ მას იმდენხანს დაელოდებოდა, რამდენიც საჭირო იქნებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები გიგა და ირაკლი ლატარიები ოჯახებით და ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პეტრე (მურადი) პეტრეს ძე ლატარია

პანაშვიდი: 6 აგვისტოს.
გასვენება: შაბათს, 7 აგვისტოს.
მისამართი: ხობის რაიონის სოფელი ხეთა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ლაშა ტალახაძე ოლიმპიური ჩემპიონია – ოქრო და რეკორდების ნვიმა ტოკიოში



არის! ლაშა ტალახაძე ოლიმპიური ჩემპიონია. ამაში ეჭვი, ალბათ, არც არავის ეპარებოდა. მთავარი იყო ოფიციალური დასტური და ეს დასტური ლაშამ გუშინ, 4 აგვისტოს, მიიღო.

ახლა უკვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი პირველ დისციპლინაში, ატაცაში, +105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლაშა ტალახაძე ფიცარნაგზე სამჯერ გავიდა: ჯერ 208 კილოგრამი ასწია, შემდეგ – 215, ბოლოს კი, 223 კილოგრამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ატაცის შემდეგ ტალახაძე (223) მეორეადგილოსან ირანელ ალი დაუდის (200) 23 ქულით უსწრებდა. მესამე ადგილზე მყოფმა სირიელმა მან ასადმა 190 კილოგრამი დაძლია.

ჩანდა, რომ ადგილებიც ასევე გადანაწილდებოდა. სირიელმა და ირანელმა სპორტსმენებმა გამოსვლა რომ დაასრულეს (ისევე, როგორც ატაცაში), მხოლოდ ამის შემდეგ გავიდა ფიცარნაგზე ქართველი სპორტსმენი.

ლაშამ 645 კილოგრამით დაიწყო, რასაც მეორე მისვლაზე 10 კილოგრამი მოუმატა და ყველა დისციპლინაში (ატაცი, აკვრა. ორჭიდი) ოლიმპიური რეკორდი დაამყარა – 478.

ლაშამ აქაც მსოფლიო რეკორდებს შეუტია – აკვრაში 265 კილოგრამი ასწია, რაც ჯამში 488 კილოგრამი გამოდგა.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე რამაზ ზოიძე ბრინჯაოს მედალს ვერ შეწვდა.

ნახევარფინალში ზოიძე გერმანელ ფრენკ შტაბლერს დაეჭიდა. თავიდან ჩვენებური 0:5 ჩამორჩა, შემდეგ 4 ქულა კი აართვა მეტოქეს, მაგრამ ეს მაქსიმუმი გამოდგა.

ტოკიოს ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციას უკვე 7 მედალი აქვს: 2 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

ინგლისის მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი საქართველოში ჩამოვა

ინგლისის მთავარი მწვრთნელი, ედი ჯონსი საქართველოში ჩამოვა და ქართველ სპეციალისტებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს. 61 წლის ავსტრალიელი სპეციალისტი, რომელიც ქართულ რაგბთან წლებია მეგობრობს, თბილისში 3 დღე (18-20 აგვისტო) დარჩება და შეხვედრებს მაღალი მიღწევების მწვრთნელებთან გამართავს.

იოსებ ტყემალაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

– ედი ჯონსის ვიზიტი დიდი პატივი და ქართული რაგბის დაფასებაა. ის ივლისში, შოტლანდიასთან მატჩის წინ უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თამაში კოვიდ-პანდემიის გამო გაუქმდა. ჯონსი მაინც ჩამოდის საქართველოში და ჩვენს მწვრთნელებს საკუთარ ხედვებს გაუზიარებს. გარდა ამისა, მიიღებს ინფორმაციას, თუ რა დონეზე ვიმყოფებით და გვექნება სიღრმისეული საუბარი ქართული რაგბის მომავალ განვითარებაზე და ამ კუთხით მის ხედვაზე. იქნება ძალიან საინტერესო შეხვედრები და, სამწუხაროა, რომ მას ვერ დაესწრება ლევან მაისაშვილი.

ბაჩო ხურციძე, რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:

– ჯონსთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და ინგლისში წლების წინ გამართული ერთობლივი წვრთნები, მისი მხრიდან ქართული რაგბის დაფასება, ამ მეგობრობის შედეგია. თუ ვირუსმა კვლავ არ შეგვიშალა ხელი, საქართველოში 18 აგვისტოს ჩამოვა. ვფიქრობ, ჩვენი მაღალი მიღწევების მწვრთნელებისთვის ფასდაუდებელი იქნება ედის კონსულტაცია. სამწუხაროა, რომ ამ შეხვედრებს ვერ დაესწრება ლევან მაისაშვილი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მალე გამოჯანმრთელდება და ამ სახის კონსულტაციებში ჩართვის შესაძლებლობა არაერთხელ მიეცემა.

შეგახსენებთ, ჯონსის ინიციატივით ბორჯღალოსნები ორჯერ – 2018-19 წლებში იმყოფებოდნენ ინგლისში და „ვარდებთან“ ერთობლივი წვრთნები გამართეს.

ედი ჯონსი:

– მსგავსი ვიზიტები სხვადასხვა ქვეყნებსა და კლუბებში, მწვრთნელებისთვის ცოდნის გასაღრმავებლად და გამოცდილების გასაზიარებლად, შესანიშნავი შესაძლებლობაა. მნიშვნელოვანია, რომ ამით დიდ დახმარებას ვუწევთ მზარდ სარაგბო ქვეყნებს, ისეთს, როგორიც საქართველოა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲯᲘᲮᲝᲡᲕᲝᲰᲔᲚᲘ Ბ



შვეულად: 1. მე-17 საუკუნის ფლანდრიელი მხატვარი; 2. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 3. მათემატიკის ნაწილი; 5. მხარე გერმანიაში; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. იაპონური რესტორანი; 13. ხეობა კახეთში; 15. ჩანჩქერი არგენტინაში; 16. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 18. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში.

თარაზულად: 4. იაპონელი კინორეჟისორი; 6. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 8. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი; 10. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული გმირი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. კომბინაცია პოკერში; 12. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 14. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 17. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 19. უბანი თბილისში; 20. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი; 21. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 22. ნავთობის ბუნებრივი აირის საბადო ირანში; 23. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ცუნამი; 2. ტაბორი; 3. ლაკმე; 5. ვეძა; 6. დოლარი; 9. იადონი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. მოდრიჩი; 19. დოჟი.

თარაზულად: 1. ცისარტყელა; 4. ჰონვედი; 7. ნაირობი; 9. მუშამბა; 10. ომარი; 12. ბროსნანი; 16. რიგოლეტო; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კნეთელი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ხაფანგი; 2. ანტონიმი; 3. კრამიტი; 5. მატეზერი; 7. მურილიო; 9. გერიატრია; 13. პარხალი; 15. ალმაზა; 16. სალაჰი; 18. ფრაჟე.

თარაზულად: 4. ქალამანი; 6. კანცლერი; 8. კაპიტოლიუმი; 10. ჩონგური; 11. როტა; 12. ტიროლი; 14. პანჩი; 17. სტეკა; 19. სმოგი; 20. გამბუზია; 21. ალფა; 22. მარასკინი; 23. დესპანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.1022

ევრო
— 3.6780

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.3214

100 რუსული
რუბლი
— 4.2550

ამინდის პროგნოზი 5 აგვისტოსათვის

ანდრეი შევჩენკო უკრაინაში გალანძღეს

ანდრეი შევჩენკომ უკრაინის ნაკრები დატოვა და ამის მიზეზი ანაზღაურებაა. შევჩენკომ წელიწადში 3 მილიონი დოლარი მოითხოვა, რაც მას არ დაუკმაყოფილეს. შევჩენკო საჯაროდ გალანძღა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხაილ ბროდსკიმ, რომელმაც მას განდ...ი უწოდა.

ბროდსკის თქმით, შევჩენკოს მხოლოდ ფული აინტერესებს და მას პატრიოტული მოტივები არასოდეს ჰქონია.

ლაშა ბექაური: „ფაქტიურად ბებია გვინახავდა“

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ბექაურმა ბებიაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და თქვა, რომ იყო პერიოდი, როდესაც მის ოჯახს ბებია ინახავდა, რომელიც 17 წელია, საბერძნეთში ცხოვრობს. ბექაურის თქმით, ის შეეცდება, რომ მოგებული მილიონი ლარით ბებია საქართველოში ჩამოიყვანოს:

– ბებია უკვე 17 წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს და იყო პერიოდი, როდესაც ის გვინახავდა, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ის საქართველოში დავაბრუნო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„დროში მოგზაურმა“ გლობალურ კატასტროფაზე ისაუბრა

აშშ-ში მამაკაცმა, რომელიც ამტკიცებს, რომ დროში იმოგზაურა, მომავალ გლობალურ კატასტროფაზე ისაუბრა.

პიროვნებამ, რომელიც საკუთარ თავს ედვარდს უწოდებს და კამერის წინ სახეს მალავს, განაცხადა, რომ თითქოსდა 5000 წელში იმოგზაურა და ამის მტკიცებულებად „ჩაძირული ლოს-ანჯელესის“ ფოტოსურათი წარმოადგინა.

„დროში მოგზაური“ ამტკიცებს, რომ ის გასაიდუმლოებული ექსპერიმენტის მონაწილე გახდა, რომელიც 2004 წელს ლოს-ანჯელესის ლაბორატორიაში განხორციელდა, სადაც მაშინ ის თავად მუშაობდა. მან თითქოსდა სამი ათასი წლით წინ გადაინაცვლა, სადაც შემდეგ სურათი გადაიღო.

– უზარმაზარ ხის პლატფორმაზე ვიდექი. გარშემო ყველა შენობა ასევე ხის იყო. შემდეგ კი მივხვდი, რომ ლოს-ანჯელესში ვიმყოფებოდი, მხოლოდ წყლის ქვეშ, – აცხადებს მომავლის თაობაზე ედვარდი. მან ასევე განაცხადა, რომ მოახერხა აშშ-ის მცხოვრებლებთან გასაუბრება და მათ უთხრეს, რომ თითქოსდა ქალაქის წყალში ჩაძირვა მყინვარების დადნობამ გამოიწვია.

ნასას მეცნიერებმა კი ამ ყოველივესთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ დროში მოგზაურობა შეუძლებელია.

– მართალია თვითმფრინავებსა და თანამგზავრებზე დრო სულ სხვა სისწრაფით მოძრაობს, ვიდრე დედამიწაზეა, ჩვენ არ შეგვიძლია დროის მანქანის გამოყენება ასეული და ათასეული წლებით გადასაადგილებლად, – განაცხადეს სააგენტოში.

გაუქმებულმა რეისმა ქალი გაამდიდრა

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ კანზასიტის მკვიდრ ქალს სახლში დასაბრუნებელი რეისის გაუქმებამ სიმდიდრე მოუტანა. 51 წლის ანჟელა კარაველა ავიარეისის მოულოდნელი გაუქმების გამო ფლორიდის შტატში შეყოვნდა.

– ვგრძნობდი, რომ რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო. დროის გასაყვანად მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთი ვიყიდე და მილიონი დოლარი მოვიგე, – განაცხადა იღბლიანმა ქალმა. კარაველა ლატარიის შტატ-ბინაში მივიდა და მთელი მოგება მიიღო. გადასახადების გადახდის შემდეგ, საბოლოოდ, მისმა მოგებამ 790 ათასი დოლარი შეადგინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 აგვისტოსათვის

ვერძი – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** – ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **ტყუპები** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** – იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანკალი** – შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** – გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით რა უნდა გააკეთოს ჩვენმა მთავრობამ კორუფციის დასამარცხებლად?

– თავი უნდა მოიკლას.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– ჩემი შვილი შენი ქალიშვილის ხელს გთხოვს.

– რა, თავის ხელი არ აქვს?

– აქვს, როგორ არ აქვს, მაგრამ უკვე დაეღალა.

•••

სასამართლოზე ნარკოტიკებით ვაჭრობის საქმე განიხილება. მოსამართლე მოწმედ გამოძახებულ ბრალდებულის მეზობელს ეკითხება:

– ბრალდებულს თქვენთვის ნარკოტიკები თუ მოუცია?

– არა.

– და მის ცოლს თუ მოუცია?

– უკაცრავად, ისევ ნარკოტიკებზე მეკითხებით?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბედნიერი ოჯახური ცხოვრების ოთხ წესს მივაგენი...

– რა წესს?

– 1. უნდა იპოვო ისეთი ქალი, რომელიც გემრიელ საჭმელებს აკეთებს და სახლს კარგად ალაგებს; 2. უნდა იპოვო ისეთი ქალი, რომელიც ბევრ ფულს გამოიმუშავებს; 3. უნდა იპოვო ქალი, რომელსაც სექსი უყვარს და ბოლოს 4. ისე უნდა მოიქცე, რომ ეს ქალები ვერასოდეს შეხვდნენ ერთმანეთს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„სამზარეულოს ომები“ ახალ სეზონს იწყებს

კულინარიული შოუ „სამზარეულოს ომები“ ტელეკომპანია „ფორმულაზე“ ახალ სეზონს იწყებს.

შოუს შემოქმედებითმა ჯგუფმა პროექტში მონაწილეების შესარჩევი კონკურსი უკვე გამოაცხადა.

კულინარიული შოუ მთელი საქართველოდან საუკეთესო კულინარებს აერთიანებს და გამარჯვებულის გამოსავლენად სხვადასხვა ეტაპების გადასალახავად იწვევს.

ნანა ბუთხუზი: „ამ ქვეყნის დიაგნოზი ჯერ კიდევ დასასმელია!“

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის მსახიობი ნანა ბუთხუზი აცხადებს, რომ ამ ქვეყნის დიაგნოზი ჯერ კიდევ დასასმელია:

– აღარაფერი აღარ მინდა! ახლიდან დავიბადებოდი! რა ვუთხრა ჩემ შვილებს?! ავად ვართ!

ამ ქვეყნის დიაგნოზი ჯერ კიდევ დასასმელია! როდის და რა დიაგნოზი დაისმევა, თუ საერთოდ დაისვა, არავინ იცის. ოდესმე, თუ გვეღირსა გარკვევა, კონკრეტულად რა გვჭირს, მკურნალობა აუცილებელი იქნება, შეიძლება ოპერაციაც დაგვჭირდეს და 100%-იანი გარანტია იმისა, რომ სრულად განვიკურნებით ან გადავრჩებით, არ არსებობს. ამის შემდგომ, ოდესმე, თუ გვეღირსა მკურნალობის დაწყება და რამენაირად განვიკურნეთ, ყველაფერი ინდივიდუალურია, მერე რეაბილიტაცია იქნება საჭირო და ეს ძალიან ხანგრძლივი, რუტინული, რთული და მტკივნეული პროცესია!

არ გვინდა დიაგნოზის დასმა? გვეშინია? ვაი და რამე განუკურნელი არ აღმოგვაჩნდეს, ხომ? თავის მოტყუება ჯობია? სიმართლეს ჩახედო თვალებში, რთულია, არა? უმძიმესი პაციენტია „საქართველო“! ქრონიკული ტკივილების და ტანჯვის გარეშე ვეღარ წარმოგვიდგენია, არა, ცხოვრება? თუ არ იტანჯე, იდუხჭირე, გაკიცხე, მოკალი, გაძარცვე, ცილი დასწამე, ჩაუსაფრდი, განიკითხე, გალანძღე, დასცინე, დაჩაგრე, იძალადე, გაანადგურე, ითაღლითე, მოიტყუე, იფარისევლე და ა.შ., წარმოუდგენელია იყო კაცი და გერქვას ადამიანი, არა?! აი, რას მიგვაჩვიეს. შენ, ჩემო ქვეყანავ, სინამდვილეში ხომ არა ხარ ასეთი?! არა!

შიში დაავადებაა და ანგრევს, აბნელებს და კლავს გარშემო ყველაფერს!

თქვი, რაც გაწუხებს, თქვი, რაც გტკივა! გაბედე და აღმოთქვი! ხსნა მხოლოდ შენშია! დაიჯერე, რომ შეგიძლია საკუთარ თავთან გამკლავება, საკუთარი თავის მართვა, მოგერიება, გამარჯვება!

ნუ გეშინია! ამაყად დაუდექი საკუთარ თავს და იპოვე, გააღვიძე შენში ის უნიკალური ძალა, რასაც გონიერება, გულწრფელობა, სიფხიზლე, სიბრძნე, შრომის უნარი, წესიერება, შენება, ცოდნა, თავდადება, თავისუფლება და საქმენი საგმირონია ჰქვია! ჩემო ერთადერთო და განუმეორებელო, გენიალურო ქვეყანავ, გათავისუფლდი და აღიმაღლე ხმა უსამართლობის, ჩაგვრის, სიდუხჭირის, ტყუილის, შიშის, სიბნელისა და მონობის წინააღმდეგ!

სანამ ჯერ კიდევ არის დრო! ჯერ კიდევ ანათებს მზე! ჯერ კიდევ...

ადრეულ ეტაპზე დასმული სწორი დიაგნოზი, სრულად გამოჯანმრთელების საწინდარია! ჯერ კიდევ არის შანსი, თუ მოინდომებ! ყველაფერი შენ ხელშია, ყველაფერი!

ტექსტი არ ეხება არც „ქოცს“ და არც „ნაცს“! როგორი უპატივცემულობაა საკუთარი თავის, ქვეყნისა და ხალხის მიმართ, მსგავსი დამაკნინებელი, დამმცირებელი, უთავმოყვარეო მიმართვითი ფორმები!

ტექსტი ეხება ხალხს! ხალხს, რომელიც მთავარი და უნიკალური მამოძრავებელი ძალა, ღირებულება და უზარმაზარი, უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო რესურსია ამ ქვეყნის განვითარებისათვის! ჩემი თაყვანისცემა მათ და მოგიწოდებთ გაერთიანებისაკენ, აღმშენებლობისა და სიყვარულისაკენ, რომ შევძლოთ გვქონდეს ქვეყანა და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს!

მიყვარხარო! ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს სრულიად მსოფლიო და საქართველო!

მწერალთა სახლი პრემია „ლიტერასთან“ დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

მწერალთა სახლმა ლიტერატურულ პრემია „ლიტერასთან“ დაკავშირებით განცხადება გაავრცელა:

– ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ 2015 წელს მწერალთა სახლის ინიცირებითა და კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა. პრემია ყოველწლიურია და 6 ნომინაციაში გაიცემა.

წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის №00007864 (03.06.2021) ბრძანებით, შეიცვალა ჟიურის დაკომპლექტების წესი: სამინისტროს მიერ დაფინანსებული ნებისმიერი კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში ერთი წევრი სამინისტროს წარმომადგენელი უნდა იყოს. შესაბამისად, „ლიტერას“ ჟიურიში, რომლის ხუთივე წევრსაც აქამდე მწერალთა სახლი ირჩევდა და სამინისტროს წარუდგენდა შესათანხმებლად, წელს პირველად ერთი წევრი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეარჩია.

მწერალთა სახლი ბრძანების გაცნობისთანავე ეცადა სამინისტროსთან დიალოგსა და კომუნიკაციას განხორციელებული ცვლილების გადახედვის თაობაზე, რასაც სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მწერალთა სახლმა, პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, ჟიურის შემადგენლობა გააჯაროვა. ჟიურის დაკომპლექტების წესის ცვლილებას ლიტერატორთა პროტესტი მოჰყვა. საზოგადოებამ სამინისტროს გადაწყვეტილება შემოქმედებით საქმიანობაში ჩარევად შეაფასა. შესაბამისად, მწერლებისა და გამომცემლების დიდმა ნაწილმა უარი თქვა კონკურსში მონაწილეობაზე და უკან გაითხოვა საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადები. მუშაობაზე უარი თქვა მწერალთა სახლის მიერ შერჩეულმა ჟიურის ოთხმა წევრმაც. საკონკურსოდ წარმოდგენილი 110 წიგნიდან, გამომცემლობებისა და ავტორების პირადი განცხადებების საფუძველზე, კონკურსიდან დღეისთვის მოხსნილია 93 წიგნი.

არსებულ ვითარებაში შეუძლებელი ხდება წლევანდელი ლიტერატურული კონკურსის „ლიტერას“ ჩატარება.

მწერალთა სახლი იმედს იტოვებს, რომ სამინისტროსთან და ლიტერატურული სფეროს წარმომადგენლებთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილავს არსებულ სიტუაციას და გამონახავს საუკეთესო გამოსავალს მომავალი წლისთვის.

მწერალთა სახლის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მწერლების, მთარგმნელების და გამომცემლების, ასევე საგანმანათლებლო და კულტურული სფეროს მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და განვითარებაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 2. ქართული ნაციონალური კერძი; 3. კომპანია „ტესლას“ მფლობელი; 5. ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 6. სვან მამაკაცთა ცეკვა; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ქართველი მძლეოსანი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. საფოსტო გზავნილი; 14. ნახტომი ბალეტში; 15. ასაკოვანი, უცოლშვილო მამაკაცი; 19. ქიმიური ელემენტი, რომელსაც ძირითადად ღებულობენ ზღვის წყალმცენარეებისგან.

თარაზულად: 1. ტბა საქართველოში; 4. არისტოკრატიის წარმომადგენელი ძველ რომში; 7. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 9. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 10. კუთხე საქართველოში; 12. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 16. ესპანეთში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 17. კომპანიის, ფირმის, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის წლიური ჯამი; 18. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 20. ღრმა ძილის მდგომარეობა; 21. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა